

კარლო კაჭარავა

ასი დეუსი

შემდგენელი
ბელა ნიფურია



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ქართული პოეზია

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISSN 1512-455X
ISBN 978-9941-420-63-4

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2010.

კარლო კაჭარავა დაიბადა 1964 წლის 7 თებერვალს. ორი წლის იყო, როცა გარდაეცვალა მამა, კარლო კაჭარავა (ინჟინერი, საქართველოს რკინიგზის სამოქალაქო შენობა-ნაგებობათა უფროსი). მამის გარდაცვალებიდან 5 თვის შემდეგ გაჩნდა კარლოს და, ლია. ადრე წასული მამის ხატი და მისი თანმყოფობა შვილებთან კარლოს შემოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრელი თემა გახდა. ბავშვობიდანვე ხატავდა და წერდა ლექსებს. ქართული ლიტერატურა შეასწავლა დედამ, გოგუცა ლიპარტიამ (ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი). 1986 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. იყო გამორჩეული სტუდენტი, შემდგომ – თავისი თაობის წარმატებული ხელოვანი, გასაოცარი ერუდიციის პროფესიონალი, ამავე დროს – იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მეგობრებით გარემოცული პიროვნება. 1986 წელს გაინვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სადაც სულ ნახევარი წელიწადი დაჰყო. ის მოხვდა არხანგელსკის ოლქში, საბჭოურ დახურულ სამხედრო ქალაქ მირნიში. მკაცრ და განსხვავებულ გარემოში მიღებული პიროვნული გამოცდილება კარლო კაჭარავას პოეტური შემოქმედების მძლავრი იმპულსი გახდა. 1987 წლიდან იყო გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მისი სადისერტაციო თემა იყო „ქართული ავანგარდი“. მეგობარ მხატვრებთან ერთად (მამუკა ცეცხლაძე, გოგა მაღლაკელიძე, გია ლორია) 1984 წელს დააარსა ჯგუფი „არქივარიუსი“, რომლის საფუძველზეც 1986 წელს შეიქმნა უფრო ფართო ჯგუფი „მეათე სარ-

თული“. იყო ჯგუფის მანიფესტის ავტორი და ლიდერი. იყო ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედკოლეგიის წევრი, ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის გამგეობის წევრი. მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმში (ბაკურიანი, 1988), ავანგარდისტული ხელოვნების პირველ საბჭოთა ფესტივალში (ნარვა, 1988), ხელოვნებათმცოდნეთა საერთაშორისო სემინარში (პალანგა, 1988), ხელოვნებათმცოდნეთა საკავშირო სემინარში (სენეჟი, 1989), საერთაშორისო ფესტივალში MARS (პარიზი, 1990), საერთაშორისო ფესტივალში BIAF (ბარსელონა, 1990). მუშაობდა ფრანსუაზა ფრიდრიხის გალერეაში (კიოლნი, 1991). არის 40-მდე გამოფენის მონაწილე, 30-ზე მეტი სამეცნიერო-კრიტიკული ნაშრომის ავტორი. მისი ნახატები დაცულია მოსკოვის, ნიუ-იორკის, ლონდონის, ჰელსინკის, ბარსელონის, პარიზის, ბერლინის გალერეებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. 1994 წლის 9 აპრილს 30 წლის ასაკში კარლო კაჭარავა ანევრიზმით გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოსა და აშშ-ში მოეწყო მისი ნახატების 10-ზე მეტი პერსონალური გამოფენა, მათ შორის – გამოფენა წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. გამოიცა კარლო კაჭარავას საავტორო გაზეთის ნომერი (1994), მისი ნაწერების ორტომეული (2006). სიკვდილის შემდეგ ხელოვნებათმცოდნეობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა გიორგი ჩუბინაშვილის სახელმწიფო პრემია (1997). მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა შეადგენს 900-მდე ფერწერულ ტილოს, 3500-მდე გრაფიკულ ნამუშევარს, 1500-მდე პოეტურ ტექსტს – ლექსსა და პოემას, ჩანაწერების არაერთ ნივნაკს.

**კარლო კაჭარავა:
კულტურული ჰოზიციი და კონტექსტი**

კარლო კაჭარავას შემოქმედება არა მხოლოდ ქრონოლოგიურად განეკუთვნება ქართული კულტურის სამიჯნე პერიოდს – 1980-იანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისს; უშუალოდ იმ წლებში, სხვა რამდენიმე ხელოვანის მსგავსად, მისი გაცნობიერებული ამოცანა იყო, ქართული კულტურა ამ მიჯნაზე გადაეყვანა. მსგავსმა ხელოვანებმა უზრუნველყვეს, რომ საქართველოში კულტურული კონტექსტის ცვლილება შინაგანად განპირობებული მოვლენა ყოფილიყო იმისდა მიუხედავად, თუ როდის მოხდებოდა პოლიტიკური კონტექსტის და, შესაბამისად, ოფიციალური კულტურული კონტექსტის შეცვლა. ამავე დროს, დღეს კარლო კაჭარავას შემოქმედებისადმი კონკრეტული წრეების ძლიერი ინტერესი და, მეორე მხრივ, მსგავსი ხელოვნებისადმი უფრო ფართო გარემოს განურჩეველი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ახალი კულტურული რეალობის შექმნის ამოცანა ჯერ კიდევ საჭიროებს ფართოდ გაზიარებას.

ცხადია, საბჭოთა ფორმაციის დასრულება და პოსტსაბჭოთა პერიოდის დაწყება მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელების ცვლას არ მოითვალდა; ის გარდაუვლად, გარკვეული ხარისხით მაინც იქნებოდა დაკავშირებული კულტურული ნომრების ცვლასთანაც. თუმცა, მსგავსი ინდივიდებისა და თანამოაზრეების მოქმედებზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად გაცნობიერებული იქნებოდა ამგვარი ცვლილება ერთიან სოციალურულ გარემოში და რამდენად გადაიზრდებოდა ეს კულტურული პარადიგმის ცვლაში.

კარლო კაჭარავა როგორც ინდივიდუალური შემოქმედი – მხატვარი, პოეტი, არტკრიტიკოსი – და როგორც თანამოაზრეთა ჯგუფის თუ, საბოლოოდ, თავისი თაობის ნარმომადგენელი, შეიძლება დავინახოთ ქართული კულტურის იმ მისწრაფების გამომსახველად, რომლის ძალითაც ეს კულტურა, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზეც და დღემდეც, თანამედროვე (მოდერნულ-ავანგარდული და, შემდეგ, პოსტმოდერნული) კულტურის პარადიგმაში მოქცევის და თვითდამკვიდრებას ცდილობს. 1980-იან წლებში კვლავ გამოკვეთილ სახეს იღებს ამ პარადიგმაში დამკვიდრების ტენდენცია, რომელიც, რეალურად, გაგრძელებაა 1910-1920-იან წლებში დაწყებული პროცესისა, რაც მალევე ჩანაცვლდა საბჭოური სოცრეალისტური და, შემდეგ, ნაციონალური რეალისტური პარადიგმით.

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში დასავლურ კულტურაში უკვე გამოყოფენ ავანგარდის ორ ეტაპს: ისტორიულ ავანგარდს, როგორც მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულების რადიკალურ კულტურულ სტილს, რომელიც მოდერნისტული ეპოქის ნაწილად, მაღალი მოდერნიზმის მომდევნო კულტურულ ეტაპად გაიაზრება და ტრადიციული გამომსახველობითი გზების რადიკალურ უარყოფას ეფუძნება; და თანამედროვე ავანგარდს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ესთეტიკურ-გამომსახველობით გზას, რომელშიც შემოქმედი სარგებლობს ისტორიული ავანგარდის ეტაპზე მოპოვებული უარყოფისა თუ ექსპერიმენტაციის უფლებით და ამ უფლების გამოყენება მისთვის, ისევე როგორც მისი გარემოსთვის, უკვე აღარ ასოცირდება რადიკალიზმთან, არამედ - შემოქმედებითი საქმიანობის დამკვიდრებულ პრაქტიკასთან. თუკი ისტორიულ ეტაპზე ავანგარდი იმგვარი ხელოვნებაა, რომელიც უმრავლესობის მიერ საეროდ არ აღიქმება ხელოვნებად, თანამედროვე ავანგარდს აღარ სჭირდება მტკიცება იმისა, რომ ხელოვნება შეიძლება ასეთიც იყოს.

შესაბამისად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ის ნაციონალური კულტურული არეალები, რომლებიც უწყვეტი კულტურული პროცესის მონაწილეები არიან (მოდერნიზმიდან და ისტორიული ავანგარდიდან მიყოლებული -

თანამედროვე ავანგარდამდე და პოსტმოდერნიზმამდე), ადაპტირებულნი არიან რადიკალური ავანგარდის ეტაპზე შემუშავებულ მიდგომებთან. ხოლო იმ გარემოში, რომელიც ამ პროცესის ნაწილი არ ყოფილა ან, საქართველოს მსგავსად, ერთიან თავისუფალ კულტურულ სივრცეს დიდი ხნით მოწყვეტილი იყო და სადაც ისტორიული ავანგარდი და თანამედროვე ხელოვნება ცალსახად ტაბუირებული აღმოჩნდა, ამ გამომსახველობით უფლებებს ხელახალი მოპოვება სჭირდება. ამდენად, ავანგარდის, როგორც ხელოვნების აღქმა და აღიარება ან, მეორე მხრივ, მისი მიუღებლობა საზოგადოდ შეიძლება დავინახოთ, როგორც ერთგვარი მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად მიჰყვება ინდივიდი ან ლოკალური კულტურული გარემო ხელოვნების განვითარების ერთიან პროცესს. მსგავსი მაჩვენებლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელით ქართული კულტურის შესახებაც.

ამიტომ, კარლო კაჭარავას შემოქმედებაზე საუბრისას განსაკუთრებით საგულისხმოა არა მხოლოდ მისი ნაწარმოებების ზემოქმედების ძალა, არამედ თავად ავტორის გამოკვეთილი კულტურული პოზიცია, რომლის საფუძველზეც ის და მისი თანამოაზრეები (არა მხოლოდ ჯგუფი „მეათე სართული“, არამედ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოქმედი ინდივიდები, რომლებიც საერთო ინტერესებს იზიარებენ), 80-იანი წლების ბოლოსვე, საბჭოური კონტექსტიდან თავის დაღწევას და თანამედროვე მსოფლიო კულტურის კონტექსტში მოქცევას უშუალოდ ავანგარდული ესთეტიკის ან, უფრო ზოგადად, თანამედროვე ხელოვნების მეშვეობით ისახავენ მიზნად. ავანგარდის არეალში მოქცევა იმ პერიოდის ქართველი ხელოვნებისთვის უკავშირდება, ერთი მხრივ, ისტორიული ავანგარდის ევროპული და, ასევე, ქართული გამოცდილების აღდგენას, მეორე მხრივ კი თანამედროვე ავანგარდის სინამდვილეში ინტეგრირებას.

თანამედროვე ხელოვნების გამომსახველობითი გზებისადმი ინტერესი კარლო კაჭარავას შემოქმედებაში მკვეთრად გამოხატული და თანმიმდევრულია, ის ამ გზებს ეძებს და ითავისებს როცა ხატავს ან წერს ლექსებს, ჩანაწერებს

თუ სტატიებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის, როგორც აღმქმელი და განმცდელი, ხელოვნების აღქმისას თუ ადამიანური ურთიერთობებისა და ცხოვრების განცდისას, მოქცეულია თანამედროვე ესთეტიკურ და ემოციურ სივრცეში. მისთვის განსაკუთრებით აქტუალურია სწორედ მეოცე საუკუნის ხელოვნების და ამ ეპოქის ადამიანის გზა, ხოლო ავანგარდი არის ამ მემკვიდრეობისადმი და რეალობისადმი საკუთარი, პიროვნული დამოკიდებულების შემუშავების საშუალება. ამიტომ, ირჩევს რა ავანგარდს თავისი ვიზუალური და პოეტური ხელოვნების ფორმად, ან სადისერტაციო ნაშრომის („ქართული ავანგარდი“) და სტატიების თემად, ის პასუხობს თავის პიროვნულ, ინდივიდუალურ ინტერესს და, ამავე დროს, აცნობიერებს ამას, როგორც საკუთარი კულტურული გარემოს მიმართ მისიას.

კულტურული გარემო – როგორადაც ის ჩამოყალიბდა საქართველოში საბჭოური პერიოდის მიწურულს და ადრე პოსტსაბჭოთა წლებში – კარლო კაჭარავას შემოქმედებითი პოზიციისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. უფრო ზუსტად კი, მნიშვნელოვანია ამ გარემოს დომინანტური ტენდენციების მიუღებლობა: ცხადია, ცალსახად მიუღებელია ათწლეულების მანძილზე საბჭოური იდეოლოგიის ძალით შექმნილი და დამკვიდრებული ოფიციალური კულტურა, საბჭოური ესთეტიკა, რომელიც ამ დროისათვის, რეალურად, მხოლოდ ფასადური სახით თუ მოქმედებს; ამ ესთეტიკის, ისევე, როგორც საბჭოური ღირებულებების სიყალბის დემონსტრირება, რეალურად, არც წარმოადგენს კარლო კაჭარავას და მისი თაობის თანამოაზრეების ამოცანას, რადგან ეს ამოცანა ამ დროისათვის უკვე შესრულებული იყო ქართველ შემოქმედთა იმ თაობების მიერ, რომლებიც რეჟიმთან წინააღმდეგობის ფონზე ქმნიდნენ თავიანთ ხელოვნებას და შექმნეს რეზისტენტული ნაციონალური კულტურული გამოცდილება; საბჭოურ ესთეტიკურ მოდელებზე უფრო მეტად მიუღებელია კულტურის მართვის საბჭოური მოდელები, რომელთა მეშვეობითაც თვით რეჟიმთან წინააღმდეგობის ფუნქციით შექმნილი ნაციონალური/რეალისტური კულტურული სივრცეც (ცხადია, ცალკეული ავტორების გამოკლებით), რომელიც ათ-

წლებების მანძილზე ქართული ნაციონალური იდენტობის კულტივირების არეალი იყო, მოექცა საბჭოური კონტროლის ქვეშ; რამაც შედეგად მოიტანა არა არა მხოლოდ ორმაგი ესთეტიკა (როცა ავტორი ქმნის ტექსტების ორ რიგს: ერთს საბჭოურ მოთხოვნების, ხოლო მეორეს ნაციონალური მოლოდინების შესაბამისად), არამედ – ორმაგი მორალური სტანდარტიც.

თუკი საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად კონტროლის და იდეოლოგიური დაკვეთის პრობლემა ერთბაშად მოიხსნა, ორმაგი მორალის პრობლემა თავისით არ გადაჭრილა. კარლო კაჭარავას ერთიანი ესთეტიკური, ანალიტიკური, პიროვნული პოზიცია წარმოადგენს რეაქციას რეალური კულტურული სინამდვილის დევალიზირებულ ესთეტიკურ და მორალურ ღირებულებებზე. სწორედ ამგვარ კულტურულ (და მორალურ) სინამდვილეს ეპასუხება, ამ სინამდვილისადმი ემოციურ რეაქციას წარმოაჩენს, თუნდაც, კარლო კაჭარავას ლექსი „წერილი ემიგრანტს“ (1993).

საგულისხმოა, რომ მაშინაც, როცა, ავანგარდიზმის ლოგიკის შესაბამისად, საკუთარ თავს და თანამოაზრეებს დომინანტური კულტურის შეგნებულ ოპონენტად, კონტრკულტურის პოზიციაზე ხედავს, ის ისურვებდა, რომ ოპონირება უწევდეს არა დევალიზირებულ, არამედ საკუთარი გაუყალბებელი ესთეტიკისა და ღირებულებების ირგვლივ გამთლიანებულ კულტურულ რეალობასთან – გამყარებული და არა გაყალბებული ტრადიციული ესთეტიკის ფონი ხომ, რადიკალური ავანგარდიდან მოყოლებული, თანამედროვე ესთეტიკის წარმოსაჩენად ხელშემწყობი და არა ხელისშემშლელი ფაქტორია; და ამ თვალსაზრისით ტრადიციული და თანამედროვე კულტურა არა მხოლოდ ენი-ნალმდეგებიან, არამედ თანამშრომლობენ კიდევ ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ ამბობს კარლო კაჭარავა: „ჩვენში ის კულტურაც არ არსებობს, რომლის კონტრკულტურამაც უნდა იარსებოს“ (***) „კარები, რომელიც მხოლოდ ხმაურით იკეტება“, 1987).

კონტრკულტურის გამოცდილება, ანუ ფართოდ გავრცელებულ, სტანდარტულ, ოფიციალურად მხარდაჭრილ კულტურასთან დაპირისპირებული კულტურული ტენდენ-

ცია, რომელმაც 1960-იანი წლების ამერიკასა და ევროპაში კულტურული ლიბერალიზაცია და, ასევე, კულტურის სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააქტიურება მოიტანა, კარლო კაჭარავას თაობისთვის, ერთი შეხედვით, ოფიციალურ საბჭოთა კულტურასთან დაპირისპირების ინსტრუმენტი უნდა იყოს; თუმცა, მისი ესსეებიდან და ლექსებიდან ნათლად ჩანს, რომ ის საჭიროდ თვლის ღირებულებრივ და ესთეტიკურ დაპირისპირებას არა საბჭოურ, არამედ ობიექტურად დომინანტურ, რეალისტურ, ავტორიტარულ (საზოგადოებრივი ავტორიტეტების ხელში მოქცეულ) კულტურასთან: „ამჟამინდელი ვითარება ჩვენში უკვე მოითხოვს ახალი, საყოველთაოსაგან დამოუკიდებელი ღირებულებების შექმნას, რადგან ჩვენში უკვე აღარ ფუნქციონირებს არანაირი ხელოვნება, „საზოგადო“, წინასწარგანზრახულის გარდა, და ისიც სავსებით განსაკუთრებულ იმიტაციას ქმნის“ („საუბრები სოციალური პრობლემატიკის ასპექტებზე უახლეს ქართულ მხატვრობაში“, 1992). ქართული კულტურული/სოციოკულტურული სივრცის პრობლემები, რომლებიც დაუფარავად და მამხილებლად არის გაანალიზებული ამ ესსეში, მძაფრი ემოციებით არის აღწერილი ლექსში „შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან“ (1993): სოციალური ყოფის გამოფიტულობა და, ამ ფონზე, ავტორიტეტული დისკურსის პათეტიკური, რეალობას აცდენილი მაღალფარდოვნება, ამ დისკურსის მფლობელთა სიყალბე, სოციალური უპასუხისმგებლობა და, საბოლოოდ, ძალადობრიობა მოჩანს, როგორც მორჩილების და განწირულობის განაჩენი მომავალი თაობის მიმართ. სწორედ ამ განაჩენის გაუქმების სურვილსა და მცდელობაზეა ლექსიც. თუმცა, ეს ტექსტი არც მხოლოდ ლოკალურ სივრცეს და არც მხოლოდ ლოკალურ დროს შეეხება. ის არა მხოლოდ აქტუალურია დღესაც (რამდენადაც სწორედ იმ „მაღალფარდოვანი“ დისკურსის გავლენა არ დასრულებულა ქართულ სოციოკულტურულ სივრცეზე), არამედ საგულისხმო იქნება ყველა იმ ტენდენციისთვის, რომელიც კულტურული/სოციოკულტურული რეალობის განახლებას დაისახავს მიზნად. ამავე დროს, წარმოჩენილი ვითარების მიზეზად ლექსში პირდაპირ არის დასახელებული

ბული დაშორება ნამდვილი, გაუყალბელი კულტურისაგან. კარლო კაჭარავა ჩამოთვლის ქართველ მწერალთა, მხატვართა, პერსონაჟთა სახელებს, როგორც ნიშნულებს გაუყალბელი კულტურისა (ქართველ მოდერნისტთა თაობა აქ, ცხადია, ფიგურირებს) – თუკი მათი მივიწყება, მათივე ღირებულებებისგან დაშორება ლექსში აღწერილი ვითარების მიზეზია, მაშინ იმ კულტურასთან/ღირებულებებთან დაბრუნება სხვაგვარი, უმჯობესი ვითარების შექმნის გზა უნდა გახდეს. ამდენად, ქართული კულტურული გამოცდილებისადმი ერთგულების აღდგენა ტექსტში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც კულტურული, ასევე სოციალური გარემოს განახლებისთვის. კულტურით თვითდამკვიდრების იდეა, რომელიც, განსაკუთრებით, ქართველ მოდერნისტთა თაობის მიერ იყო გააქტიურებული 1910-იან წლებში, საქართველოს სახემნიფოებრივი პერსპექტივის არსებობის ისტორიულ მომენტში, კვლავ აქტუალური ხდება საბჭოთა კავშირის დაშლისას. კარლო კაჭარავას ლექსებშიც ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ამ პერიოდშიც არიან სწორედ კულტურით თვითდამკვიდრების იდეის მატარებლები. თუმცა, მეორე მხრივ, ნათლად ჩანს ისიც, რომ იმ წლებში კულტურული ტენდენციის ნაცვლად მძლავრობს, კვლავაც, „მაღალფარდოვანი“ დისკური, რისი რეალური შედეგიც შეიძლება იყოს ის, რომ 1990-იანი წლების დასაწყისშივე ძალადობის ტენდენციამ იმძლავრა განვითარების ტენდენციაზე; ამ დისკურსის შედეგად შექმნილმა ქიმერებმა გამოიწვია სოციუმის შიგნით ადამიანების გაუცხოება, ისევე, როგორ თავად სოციუმის გაუცხოება ყველა სხვა სისტემისაგან და შეცვლილ რეალობასთან ადაპტირების უნარი: „ჩვენში კი გაცნობის ნაცვლად უფრო ხელსაყრელია რაღაც ქიმერების შექმნა და იქ დარჩენა, სადაც „წინასწარგანსაზღვრული“ მემკვიდრეობით გერგო დოგმა. თითქმის ყველანი ერთმანეთში მხოლოდ საცთურს, ხაფანგს და მონაწილეს ვხედავთ, ყველანი ერთმანეთის მტრები ვართ“ („საუბრები სოციალური პრობლემატიკის ასპექტებზე უახლეს ქართულ მხატვრობაში“, 1992).

კარლო კაჭარავას ტექსტები, თავის მხრივ, განსაკუთრებით საგულისხმო მიმართებაზე მიგვიბრუნებენ:

ქართული კულტურული და სოციალური სინამდვილისთვის მტრული ან სახიფათო ტენდენციია არა თანამედროვე დასავლურ კულტურულ სივრცეში ჩართვა, არამედ, სწორედ, ამ სივრცისგან იზოლირება, ანუ თვითიზოლირება ღირებულებრივად გაყალბებულ, ფსევდოკულტურულ ლოკალურ სივრცეში.

ცხადია, იზოლაციის დაძლევის ნაცადი გზა ინფორმირებულობაა, ხოლო კულტურის ხელმისაწვდომობა – პიროვნების უფლება. კარლო კაჭარავასთვის, ერთი მხრივ, ამოცანაა ქართული კულტურის ცოდნა და, განსაკუთრებით, იმ დროისათვის მივიწყებული და უგულვებელყოფილი ქართული მოდერნიზმის/ავანგარდიზმის ცოდნის აღდგენა. მეორე მხრივ, არაერთხელ აღნიშნულა მისი ინფორმირებული, სელექტიური და ღრმად გააზრებული ცოდნა თანამედროვე დასავლური კულტურისა, რაც მით უფრო გასაოცარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცოდნის დაგროვება იწყება ჯერ კიდევ რკინის ფარდის პერიოდში და გრძელდება ეკონომიკური იზოლაციის ფონზე, როცა თითქმის არ არის ხელმისაწვდომი დასავლური კულტურული/ანალიტიკური პროდუქცია. კარლო კაჭარავას შემოქმედებით და ანალიტიკურ ტექსტებშიც ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე ესთეტიკის ფარგლებში საქმიანობა მისთვის უაღრესად სერიოზული, შრომატევადი და ცოდნაზე დაფუძნებული პროცესია; ქართულ კულტურაშიც თანამედროვე ესთეტიკის გავრცობა მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულების ფონზე იქნება შედეგიანი, ხოლო სხვაგვარად თანამედროვე ხელოვნების იდეა ქართულ ლოკალურ გარემოში გაყალბების მსხვერპლი გახდება, ისევე, როგორც გაყალბდა და პათეტიკური გახდა რეალისტური ხელოვნება.

ტრადიციული გამომსახველობის, როგორც საფუძვლის, თუნდაც უარსაყოფი საფუძვლის შესწავლა და, მეორე მხრივ, ავანაგრდული/თანამედროვე რეპრეზენტაციის უფლებებისა და მიზანდასახულების კულტურული გამოცდილების ცოდნა კარლო კაჭარავასათვის ავანგარდული ხელოვნების გაცნობიერებული ათვისების წინაპირობაა; რაც, თავის მხრივ, წინაპირობაა იმისა, რომ ქართული

თანამედროვე ხელოვნება ინტეგრირდეს მსოფლიო კონტექსტში და, თავისი მნიშვნელობით და მხატვრული ღირებულებით, არ დარჩეს მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის მოვლენად. ამ გზით მუშაობს თავადაც და ცდილობს, რომ თანამედროვე ხელოვნებისადმი პასუხისმგებლობით სავსე მიდგომა გაზიარებული იყოს ქართულ კულტურაშიც. ხელოვანი უნდა აცნობიერებდეს, რომ თანამედროვე ესთეტიკური გამოცდილება მეოცე საუკუნის ინტენსიური სულიერი და რეპრეზენტაციული ძიებების შედეგად შეიქმნა, რამაც ის, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა ახალ გამომსახველობით ტრადიციად. „ჩვენში კი ავანგარდი ყველანაირი ტრადიციის ზედაპირულ უარყოფასთანაა გაიგივებული, ეს ხომ ასე ხელსაყრელია: არც არაფრის შესწავლა გვჭირდება, თუკი მაინც მყისვე უნდა უარყო“ („თანამედროვე ხელოვნება და „ქართული ავანგარდი““, 1993). ხელოვანი უნდა მოღვაწეობდეს „ავანგარდისტული ტრადიციის სამომავლო მიზნისკენ ევოლუციის რწმენით, ჩვენში კი პოსტმოდერნისტული ეპოქა სრულ ინდივიდუალიზმთან და განუკითხაობასთანაა იდენტიფიცირებული“ („ქართული ავანგარდის ისტორიისათვის“, 1990). ესთეტიკური არჩევანის მიმართ უპასუხისმგებლობისა, ზედაპირულობის, ავანგარდული/პოსტმოდერნული ხერხებით გაუთვითცნობიერებელი სარგებლობის პრობლემა, რომელზეც მიუთითებს კარლო კაჭარავა ჯერ კიდევ ადრეულ პოსტსაბჭოთა წლებში, იოლად არ გადაჭრილა და პრობლემად რჩება დღესაც.

კარლო კაჭარავას მთელი შემოქმედებიდან მძაფრად არის საგრძნობი, რომ კულტურას მოკლებული სოციალური კონტექსტის მიმართ ნეიტრალობა სულაც არ არის ავანგარდული ხელოვნების პოზიცია. სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის მიმართ ნეიტრალური არ ყოფილა არც ისტორიული ავანგარდი, მოყოლებული იტალიელი ფუტურისტების მცდელობიდან, სოციალური ტრანსფორმაცია მოეხდინათ თავიანთ ქვეყანაში და მომავლისკენ მიემართათ იგი. ქართული სიმბოლიზმის პირველივე მანიფესტებში და, მალევე, თბილისის ავანგარდის წლებში მოდერნისტული კულტურის სოციალურ და ნაციონალურ ფუნქციას ფართოდ ავითარებდნენ ქართველი მოდერნისტე-

ბი. თანამედროვე ავანგარდის ჩართულობა სოციალურ კონტექსტში კარლო კაჭარავას მსგავსი ხელოვნების მაგალითზეც ნათელი ხდება. მთელი საბჭოური სინამდვილე, სოციალური და ფსევდო-კულტურული რეალობა, შემდგომში კი – 1990-იანი წლების საქართველოს (დედაქალაქის და პროვინციების) ძალადობითა და აგრესიით მოცული გარემო, კარლო კაჭარავას ლექსების, ესეების და, ცხადია, მხატვრობის ფონია. ინდივიდს და გარემოს მიმართება, ნეგატიური ძალა, რომლითაც ეს გარემო ზემოქმედებდს ინდივიდზე, კარლო კაჭარავას შემოქმედებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი თემაა. საბჭოური კონტექსტი, როგორც უცხო სამყარო და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უცხო ეთნოკულტურული რეალობა, მის პოეზიაში არხანგელსკსა და კალუგაში ყოფნისას იჭრება. ამ პერიოდის, 1987 წლის ლექსები რეალისტურად არ აღწერს ამ სამყაროს – საბჭოურ ჯარს, ყაზარმას, საავადმყოფოს, საბჭოურ დახურულ ქალაქს; ლექსები გვიჩვენებენ, თუ როგორ მდგომარეობაშია ამ გარემოში ის ინდივიდი, რომელიც მას დამორჩილებულია (პიონერი ან რეციდივისტი ქალი, დეზერტირი ჯარისკაცი, ტრანკვილიზატორების შემგროვებელი, „ახლებენინო“, 1987) და, მეორე მხრივ, როგორ შეიძლება დაუპირისპირდეს მას ის ინდივიდი, რომელიც პოულობს სულიერ ძალას და დაგროვილი აქვს ინტელექტუალური ძალა. ინტელექტუალური ხედვის და კულტურის მეშვეობით რეალობისადმი საბოლოო დაუმორჩილებლობის სულისკვეთება პოსტ-მოდერნული კულტურის კონტექსტში მოაქცევს კარლო კაჭარავას, და სწორედ ეს კონტექსტი შეიძლება გახდეს იარაღი სინამდვილის წინააღმდეგ. პოსტმოდერნიზმისთვის სრულიად დასაშვებია იქნებოდა, თუნდაც, ეს ცოდნა ავტორს მხოლოდ ტექსტებიდან მიეღო და საკუთარ ტექსტებში სხვათა გამოცდილება მათივე ციტირებით გადაეტანა; მაგრამ როცა კულტურასთან კონტაქტი რეალობასთან კონტაქტით გრძელდება, მისი ტექსტები კენ კიზის მსგავს სიმძაფრეს იძენს: „თუკი ერთხელ შეხედე ამ კედელს კიდეც იცდი?“ („ახლებენინო“, 1987). ამასთანავე, როგორც ჩანს, კულტურული გამოცდილების გაგრძელება ყოფითი გამოცდილებით, და არა პირიქით, უფრო შედეგიანი გზაა

რეალობისადმი დაუმორჩილებლობისა და კულტურული თვითდამკვიდრებისა; სხვაგვარად კი ყოფის გარღვევა და კულტურაში დამკვირდება იმდენად რთული ამოცანა ხდება, რომ მორჩილების წრის გარღვევა უმრავლესობისათვის შეუძლებელი ხდება. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ეთნოკულტურული სინამდვილე, რომელიც სხვადასხვა პერიოდის ლექსებში კარგად ნაცნობი თუ უცნობი, პროვინციული ქალაქების სახით ჩნდება მკითხველის წინაშე, პოეტს მხოლოდ თავდაცვისათვის, კულტურული თვითშემოსაზღვრისათვის განაწყობს და ამ წრეში ყოფნა, მით უფრო, თუ იქ მეორე, მახლობელი ადამიანი ან მისი ხსოვნა მაინც არის, ერთგვარი მისტიური სიმყუდროვის განცდასაც კი ქმნის (ლექსის დაწერის ადგილს პოეტი ყოველთვის უთითებს და ხშირად ეს ერთადერთი სიგნალია პოეტის გარემოს აღსაქმელად). ამ რეალობის გაანალიზების სურვილი, მის შეცვლაზე ან გაუმჯობესებაზე ფიქრი ტექსტებში არ ჩანს. როცა სხვა ლექსში დასავლური ყოფითი კონტექსტები: ფინეთი, კიოლნი, პარიზი ჩნდება, პოეტის ინტერესი იმას უკავშირდება, რომ ხალხმრავალ გარემოში მაღალი კულტურის ფრაგმენტები დააფიქსიროს; ეს ფრაგმენტები ყოფის ეკლექტურობასაც გასაგებს ან მისაღებს ხდიან, ხოლო პოეტი ამ სივრცეში ეძიებს სწორედ მაღალ კულტურასთან, და უწინარესად, მოდერნულ-ავანგარდულ კულტურასთან ზიარების გამოცდილებას (მაგალითად, კიოლნის ქუჩაშია, გერმანულ ექსპრესიონიზმსა და ერნსტ ბარლახზე ფიქრობს, „ერნსტ ბარლახის ხსოვნას“, 1991). თუმცა სულ სხვაა, როცა ტექსტში ჩანს ქართული სინამდვილე, მაღალ კულტურას ბოლომდე დაცვილებული ყოფა, აგრესიული ქმედებებისა და მაღალფარდოვანი სიტყვების სამყარო. კარლო კაჭარავას შემოქმედებებში ამ სამყაროსგან მიღებული ტკივილი, მისდამი პასუხისმგებლობა, დამაბრკოლებელი მითებისაგან მისი დახსნის სურვილი ჩანს - ყველაზე ძლიერი, „ჩვენი განსაკუთრებულობის მითის“ ჩათვლით, რომელიც ასეთ „განსაკუთრებულ“ ხალხს, ერთი მხრივ, მორალური იმპერატივის, მეორე მხრივ კი პროგრესის გარეთ მოაქცევს. უარსო გარემოსგან თავის დაცვის გზა ზოგჯერ დისტანცირებაა და თქმა იმისა, რომ „აქ ჩემი

არაფერია“ (***) „მე ვცხოვრობ ამ ქალაქში“, 1992); თუმცა დისტანცირებაც, თუნდაც გოდარის ფილმის მეშვეობით, საბოლოოდ თავის მოტყუება გამოდის, თუ სოციალური სინამდვილისადმი პასუხისმგებლობას რაიმე სახით არ აღიარებ: „ყველა ესენი იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ ჰგონიათ უკვე აღარ ცხოვრობენ ამ ქალაქში“ (***) „ჩვენში“, 1993). ამიტომ იწყებს ფიქრს „ხელოვნების სოციალურ ფუნქციაზე“, რაც, ფაქტობრივად, ერთადერთ ქმედით გზად ისახება მითების, ქიმერების, „სოციალური რასიზმის“ და ძალადობის პროფანირებული, „რეალობასთან ვერშეგუებული“ სინამდვილის შესაცვლელად („საუბრები სოციალური პრობლემატიკის ასპექტებზე უახლეს ქართულ მხატვრობაში“, 1992). ღირებულებრივი და შემოქმედებითი ტრანსფორმაცია, გაყალბებული დისკურსისაგან, ორმაგი მორალისაგან თავდახსნა მისთვის არა მხოლოდ კულტურული, არამედ სოციალური პოზიციაც არის: „ჩვენი სამშობლო ბოლოს და ბოლოს უნდა ეცადოს ერთი ქართველი მწერლისა და მხატვრის განსაზღვრით „ვითომ“ მორალისაგან, „ვითომ“ ლიტერატურისაგან და სხვა „ვითომ“ ღირებულებებისაგან გათავისუფლებას“ („რას გვაძლევს ამერიკული ლიტერატურა“, 1992).

სინამდვილე, რომელშიც სოციალურ და პოლიტიკურ მიჯნაზე გადასვლისას საქართველო აღმოჩნდა, იმდენად ტრავმატულია, რომ, როგორც ცხადი ხდება, ქვეყანა მიჯნას ვერ დაძლევს კულტურის გარეშე. საკუთარი სამშობლოს მიმართ პასუხისმგებლობა კი ხელოვანმა იმით უნდა გამოხატოს, რომ კულტურული თვითიზოლაციის ნაცვლად (რაც საბჭოურ პერიოდში ნაცადი ხერხი იყო) კულტურული ინტეგრაციის აქტიური გზა აირჩიოს, აჩვენოს, რომ როცა ქართველები ისვრიან, ისინი ესვრიან სწორედ მსოფლიოს ღია კულტურას — ენდი უორჰოლს, „დემოკრატიას, თავისუფალ ეკონომიკას, პიროვნების თავისუფლებას, ინიციატივას“, ყველაფერ იმას, რაც მაღალი თუ დაბალი კულტურის სახით ღია სამყაროში პროდუცირდება (დღიურებიდან, 1993). ის, რომ კულტურული ღიაობისას სხვადასხვა ფენებს ან თაობებს თავიანთი პრიორიტეტები ექნებათ, და რომ დაბალი კულტურის ნაკადი მაინც შემოაღწევს თვით

იზოლირებული კულტურის პირობებშიც, ლოგიკურად გარდაუვალი ჩანს. თუმცა ღია სამყაროში დაბალ კულტურასთან მაღალი კულტურით დაპირისპირების პერსპექტივა არსებობს, პროფანირებული ნაციონალური იდეების თვითიზოლირებულ სამყაროში კი ყველაფერი სროლით სრულდება. ხოლო ხელოვანი, რომელსაც არ სურს, რომ ამ სივრცეში ადამიანები „განწირულთა არშემდგარი ცხოვრებით“ ცხოვრობდნენ, უარს ამბობს ამგვარ დასასრულზე („ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია“, 1993). ამ დასასრულთან შეუგუებლობა თანამედროვე ქართული ხელოვნების მეშვეობით კულტურულ და, შესაბამისად, სოციოკულტურულ მიჯნაზე ქვეყნის გადაყვანის შესაძლებლობას ქმნის; ძალების ძიება შეიძლება შემოქმედებით და ზოგადჰუმანურ სანყისში, ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ კულტურულ გამოცდილებაში, „რომელიც მართლა გვამხნევებს ან გვანუგეშებს უმთავრესი, საკმაოდ უბრალო სიტყვებით გამოხატული აზრით: „ადამიანი არა მხოლოდ გაუძლებს, ის გაიმარჯვებს (უ. ფოლკნერი)“ “ („რას გვაძლევს ამერიკული ლიტერატურა“, 1992).

კარლო კაჭარავას ტექსტებიდან კარგად ჩანს ისიც, რომ სოციალური თუ კულტურული ტრანსფორმაცია, სოციოკულტურული სივრცის ღირებულებებისკენ მიმართვა და ინდივიდის მეტ-ნაკლები დაცულობის უზრუნველყოფა, საბოლოოდ, იმისთვის არის აუცილებელი, რომ უცვლელი იყოს ადამიანის, როგორც ინდივიდის შესაძლებლობა, დარჩეს ზოგადადამიანური ღირებულებების სივრცეში და ედიოს სულიერი სიახლოვე მეორე ადამიანთან. სინამდვილეში, ეს შეიძლება მივიჩნიოთ კარლო კაჭარავას პოეზიისა და მხატვრობის ყველაზე მნიშვნელოვან თემადაც: სიახლოვე ან სიშორე შეყვარებულებს, მამა-შვილს, დედა-შვილს, და-ძმას, მეგობრებს შორის. კარლო კაჭარავა აღიარებს, რომ თანამედროვე ხელოვნება, მისი დეჰუმანიზაციისა თუ რეჰუმანიზაციის ტენდენციებით, სინამდვილეში არასოდეს გასცდენია ადამიანის თემას; „მთელი თანამედროვე ხელოვნების ტრადიცია მხოლოდ პიროვნებასთან შესაძლებლად სრულყოფილი კომუნიკაციის მოძებნის საშუალებათა ძიებაა“ („რას გვაძლევს ამერიკული ლიტ-

ერატურა“, 1992). საკუთარ თავთან თუ მეორე ადამიანთან კომუნიკაციის შესაძლებლობა ან შეუძლებლობა მის ტექსტებში ყველაზე შთამბეჭდავი და მტკივნეული სახით გვხვდება. როგორია ის მანძილი, რაც ორ ადამიანს ერთმანეთისგან აშორებს? რა ქმნის ამ მანძილს – სივრცე, დრო თუ თავად ადამიანები? როგორ გადალახოს ადამიანმა, სიახლოვის სურვილით, ხილული და უხილავი საზღვრები და ბარიერები? როგორ გადალახოს მანძილები, რაც მას სხვა ადამიანებისგან, ან, თუნდაც საკუთარი თავისგან, საკუთარი ბავშვობისგან, მოგონებებისგან და სიზმრებისგან აშორებს? თუ ბარიერები არ დაიძლევა, ყველაფერი აბსურდულად და ალოგიკურად დარჩება.

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური და კულტურული პრობლემების თუ ადამიანური ტკივილების გადმოსაცემადაც ქართულ ენობრივ სივრცეში არავის მიუმართავს თანამედროვე ავანგარდის ესთეტიკისთვის ისე შთამბეჭდავად, როგორც ეს კარლო კაჭარავამ შეძლო. ეს უკვე აღარ არის რადიკალური ავანგარდის დროინდელი ექპერიმენტაცია ენასა და აკუსტიკაზე ან ტექსტის გრაფიკაზე, თუმცა, გერმანული ექპრესიონიზმიდან მოყოლებული, თანამედროვე გამომსახველობის გამოცდილება მის ლექსებშიც და ნახატებშიც ძალიან ნათლად და გამიზნულად არის გაგრძელებული; თანამედროვე რეპრეზენტაციული შესაძლებლობები, სრულიად ადრეული ტექსტებიდანვე, ზუსტად და, ამავე დროს, ინდივიდუალური ემოციების ფონზეა გამოყენებული. ცხადია, აქ გვხვდება თავისუფალი ლექსთწყობა, ანტირეალიზმის მეთოდებით თვით ყველაზე რეალისტური პრობლემების გამოსახვა, დარღვეული ლოგიკური კავშირები, ალოგიკური შედარებები, რომლებიც, თავის მხრივ, სწორედ დაკარგული კანონზომიერების ეპოქის ლოგიკას გვიჩვენებენ, რელიგიური განცდები რელიგიური კრიზისის ხანაში და ანგელოზების ახლომყოფობა თვით ყველაზე დაცემულ, „ადამიანების-მაგვარ არსებებთან“ („ვილაც მათ გვერდზე მოდიოდა შადრევანში დასველებული ფრთებით“, „ღამის წინ“, 1992), სინესთეზიური სახეები („ხელები, რომლებსაც საყვარელი ქალის სუნი ახსოვთ“, „სიყვარული კომენდანტის საათის

დროს“, 1990), ლექსში უცნაურ სახეთა ქაოტური განლაგება და, ზოგჯერ, მხოლოდ ერთი სტრიქონი, რომელიც ტექსტის გზავნილს სრულიად გასაგებს ხდის, ვიზუალური სახეების კონცენტრირება პოეტურ ტექსტში, თანამედროვე კულტურის ფიგურებზე და მათ გამოცდილებაზე რეფერირება და სხვა. ეს არის პოეტური ტექსტები, რომლებიც ერთი მხრივ, პიროვნული (ემოციური და ინტელექტუალური) და, მეორე მხრივ, კულტურული გამოცდილების მნიშვნელობაზე გვესაუბრებიან; ამავე დროს, კიდევ ერთხელ დაგვანახებენ, რომ ავანგარდული ესთეტიკა, რომელიც ხელოვნებაში, გარკვეულწილად, იმ ფონზეც განვითარდა, რომ რადიკალური გამომსახველობითი ფორმებით გრძობათა მართვა გამხდარიყო შესაძლებელი, თანამედროვე ხელოვნების ეტაპზეც ადამიანური ემოციებისა და თანამედროვე რეპრეზენტაციული შესაძლებლობების ურთიერთკავშირს წარმოაჩენს.

კარლო კაჭარავას 100 ლექსის კრებული მისი ერთ-ერთი ბოლო ლექსებით იწყება და, შებრუნებული ქრონოლოგიით, ერთ-ერთი პირველი ლექსებისკენ მიდის. ბევრი მათგანი პირველად ქვეყნდება. თუკი 1990-იან წლებში ჩანს სოციალური კონტექსტის ძალადობა ინდივიდზე და მის ტექსტზე, 1980-იანი წლების ლექსებში უფრო ნათლად ჩანს თვითშემეცნებისა და თვითშეგრძნების, ემოციისა და წარმოსახვის ძალა, რომლის სამართავადაც ავანგარდისტულ ესთეტიკურ ტრადიციას პოეტი მაშინვე მიმართავს. ამ ტექსტებზე მკითხველმა შეიძლება ბევრი იფიქროს, მაგრამ ფიქრის სურვილი გაჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯერ მათ ირაციონალურად მიენდობა, გაჰყვება იმ სამყაროში, რომლის ვერბალიზაციაც თუ ვიზუალიზაციაც კარლო კაჭარავას შემოქმედებითი ამოცანა იყო, ისევე, როგორც მისი ამოცანა იყო ინდივიდუალური შემოქმედების ნვლილით საერთო კულტურული/სოციოკულტურული კონტექსტის ხელახალი მოდერნიზაცია.

პელა ნიჭურია

ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია.
ჩვენ კენტავრებს ვგავართ, პატარა მისტიკურ კლოუნთა
მომუნულ ტუჩებს,
ნიგნებს, რომელთა პატარა თეთრი გულები ფეთქავს.
ჭარბნარმოება
მითოლოგიზირებული სახელების სახე-ხატების.
კიდევ უფრო მეტად, ვერმოსახილველი სიჭრელე.
კარავი შეკრული ცის ირმებად იერცვლილი
სახე-ხატებისაგან.
და მათ შორის ჩვენი ფატალური ჯანყი-ბოჰემა.
სალამოს ჩამავალი მზისგან გაყვითლებული დანებით,
რომლებითაც იჭრება ჩვენი ნერვიული პური-ფურაჟი.
ცუდი პურის მჭრელთა ერთობა წყევლით
ამოანთხევს უენობას.
განწირულთა არშემდგარი ცხოვრება არშემდგართა
განწირულობით –
ითვლის... ერთი, ორი... (ერთი, ასი, მილიონი)
შენ არც კომეტა ხარ, არც თოვლი.
მე მძაგს ყველაფერი, რაც მძაგს. –
ეს იყო პატარა ღმერთივით მოხუცი ძონისფერ
ვიტრინაში ღამით.
ხოლო მის გარშემო დაჰქროდნენ კიდევ უფრო პატარა
სათამაშო ანგელოზები.
უზარმაზარ გერმანულ ნაგაზთა თვლებში,
მათ კბილებს შორის კი ნახევრადმშიერთა ნერვიული
პური-ფურაჟი
იარალის სუნით,
რომელსაც არ სჭამენ მომდევნო თაობათა
კუთვნილის მჭამელნი.
სამხრეთ აფრიკის მალაროებში თეთრი და შავი
მემალაროენი
ერთი ფერისანი არიან.

ღამის ელზობი

დედა, როდესაც მე მეძახიან მორიგი

შეურაცხყოფის მოსაყენებლად,
მე ვფიქრობ იმაზე, რომ სახლში თითქმის არაფერი გვაქვს.
რომ მდიდრებს და ღარიბებს მართლა განსხვავებული
ღმერთები ჰყავთ –

და რომ იმან ვის მანქანაშიც ის ახალგაზრდა ქალი იჯდა,
მოიპარა ჩემი ბედნიერება.

თუმცა ის ქალი დაბერებამდეც ისევე აუტანელია

როგორც მერე.

მე კი ვილაც თოფიანი კარდინალები დამცინიან,
როცა მე ვსაუბრობ ჟან პოლ რიხტერზე ანდა დიობლინზე.

1993

შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან

შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან
ნიკო ნიკოლაძის ქალაქში.
გვერდითა ოთახში ეკიდა აკაკი წერეთლის
ლიმილი ცუდ რეპროდუქციაზე.
შენი კუთვნილი, მათ შემდეგ მოსულმა,
შენმა უკვდავმა ბაბუებმა შეჭამეს.
რომლებიც დღესაც ჭამენ და ხორციან საჭმელს
შენზე სადღეგრძელოებს აყოლებენ.
შენ გასწავლიდნენ ცოტა ზრდილობას,
ცოტა კეთილგონიერებას,
უფრო მეტად ტყუილს,
და მაღალფარდოვნებას, მაღალფარდოვნებას,
მაღალფარდოვნებას.
რომლითაც უნდა მოკლა, რომლითაც უნდა ილოცო,
რომლითაც უნდა დასცინო,
რომ უკვდავ ბაბუათა სუფრასთან გელირსოს ლუკმა –
და არა ნახევრადმშვიერთა ნერვული პური – ფურაჟი.
შენ არ უნდა იოცნებო მაღაროზე, სადაც იპოვი რამეს.
შენ სხვას უნდა წაართვა უკვდავი წინაპრების სახელით,
რადგან წინაპრებშიც არიან უკვდავნი და მკვდარნი.
როგორც ჩანს მიხვდი, რომ ეგნატე წინოშვილი,
გიორგი ქუჩიშვილი, კოტე კაპანელი,
ვალერიან გაფრინდაშვილი,
შალვა კარმელი და ტიცციანი
შენი წინაპრები არ უნდა იყვნენ.

შიმშილით კვდომა სამარცხვინოა ღვთისმშობლის
 ქვეყანაში.
 შალვა ქიქოძის „ქორწილი გურიაში“ აქ არ დახატულა.
 „იმერეთი დედაჩემი“ ერთი სანყალი მოხუცი ქალია,
 რომელიც სადღაც ქსოვს.
 მისი გახსენება მხოლოდ ბაბუათა სუფრაზეა კარგი.
 მაღალფარდოვნებით, მაღალფარდოვნებით,
 მაღალფარდოვნებით.
 იმ სიტყვებით, რომლებიც არ იცოდა სპირიდონ
 მცირიშვილმა.
 იმ სიტყვებით, რომლებიც ცუდად ესმოდათ ილიას,
 გაბრიელს, მოჯამაგირე პოეტს.
 შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან.
 შენ დაიბადე ზღვასთან.
 შენ დაიბადე პალიასტომთან, ღარიბი ექიმის გვამთან,
 რომანტიკულ მეძავთან,
 ბულვარის ფოტოგრაფთან, იაფ სასადილოში,
 რომელიც დღეს სამოთხედ ჩანს.
 შენი იავნანა იყო „თბილისი – ფოთის“
 მოუწყობელი მატარებლის ხმაური,
 რომელიც დღეს მართლა იავნანა ნახევრადმშვიერთა
 მოხეტიალე გუნდებისათვის.
 სიზმარში შენ გინახავს ტოლსტოი, შვარცენგერი,
 ბიოლი და ცოტა გარსია ლორკაც.
 იქ, სადაც არ ისვრიან შენი სამშობლო აღარაა.
 „მამავ, მამავ, მომეცი ცოტა ფული და ხეტიალის უნარი
 და ნუ დაივინყებ დასავლეთ საქართველოს
 ნვიმიან სასაფლაოებს.
 ჩემს ცას, რომელსაც მთელი ცხოვრება მართმევენ
 ჩემიანები“
 შენ ეს არ გითქვამს, შენ არ გძინავს, შენ თოფით იცდი
 შენ მებაჟე ხარ.

1993
 თბილისი

წერილი ემიგრანტს

მე დავწერე ორი სიტყვა, მერე კიდევ რამოდენიმე,
მერე კიდევ რაღაც სიტყვები.
მე, ვწერდი წერილს, რომელიც ვილაცხამ უნდა
ჩამოიტანოს შენთან,
რადგან ფოსტას დიდი ხანია აღარ ვენდობი.
რადგან შენ არ ხედავ სიზმარს პურის რიგში.
მე დავწერე კიდევ რამოდენიმე სიტყვა
და რაღაც არარსებითი. –
ცუდ ტელევიზორში ნანახი რობინ უილიამსი,
რომელიც შენ ბერლინის კინოთეატრში ნახე.
მე ვწნევი „პრიმას“. –
გუშინ კაზაკოვი აჩვენეს:
იზრავლში ებრაულად თამაშობდა ჩეხოვის პიესას.
ესეც არარსებითია:
საღეჭი რეზინი 400 კუპონი ღირს ან 4000
უკვე არ ვიცი.
ადამიანები მოჩვენებებზე უფრო უსახურნი გახდნენ,
მაგრამ ამის გამო არანაკლებ საშიშნი, ვიდრე იყვნენ,
ან ვიდრე არიან. –
ამ ენით ბესიკი მეტყველებდა
მერე ტიცვიან ტაბიძე
ახლა ჯანსუღ ჩარკვიანი.
შენ ეს იცი, შენ უკვე დიდი ხანია
მოგეცა ამისი დავინწყების ბედნიერება.

1993

აღდგომა დასავლეთ საქართველოში

განა შესაძლებელია ადამიანს ისევე სძაგდეს
 თავისი სამშობლო,
 როგორც დოსტოევსკის პერსონაჟს თავისი სატრფო.
 ამ მაღალი, ხანგრძლივი წვიმების ქვეშ,
 როცა იხსენებენ ციურ ლაზარეთში მწოლიარეთ. –
 სასაფლაოზე გლეხები ღვინოს სვამენ ვილაცის
 საფლავთან.

სადღაც რკინიგზასთან დაეხეტებიან სველი,
 მშვიერი ძროხები

მონგრეული შლაგბაუმის გასწვრივ.
 იქ, სადაც ბავშვების ხმამაღალი თამაშია
 მოულოდნელია თან ბუნებრივი,
 როგორც ყველა სხვა განურჩევლობა.
 სოფლის ახალგაზრდა ექიმი არ ჩქარობს
 საწოლიდან წამოდგომას.

ბოლომდე ვერგამოღვიძებული თვალებით უყურებს
 საძინებლის დაკეტილ კარებს:
 ქვემოდან რაღაც ხმაური ისმის –
 როგორც ყოველთვის, დედა უკვე მუშაობს სამზარეულოში,
 როგორც თითქმის ყოველთვის
 ამ აღდგომა დღესაც წვიმს –
 და ძნელია სკამზე გადაკიდებულ სამოსამდე მიღწევა.
 სასაფლაოზე კი წითელი კვერცხების ნაჭუჭები ყრია.
 და სხვადასხვა დროს ჩამქრალი სანთლები ამკობენ
 მიცვალებულთა მკაცრ ან მოლიმარე სახეებს
 საფლავთა ქვებზე.

1993

გაფხულის ქაბინი ღამეები

მე ვკარგავ ამ სურვილს როგორც ღამეებს.
ვილაც გრძელცხვირა ქალიშვილი თამაშით
(ცეკვავს რკინიგზაზე,
მატარებელი შედის მასში, ისევე როგორც ნისლში. –
ამ მატარებელში შენ ზიხარ
მთვარეთა შორის მოგზაური.
ღარიბ, დამწვარ მინაზე, რომელსაც კიფერი აწერს:
„ჩემი მინა“.
მთვარის შესახებ კი პატარა ლუკა ცეცხლაძემ თქვა:
„თვითმფრინავს დიდი შუქი დარჩა ცაზე
და ისე გაფრინდა“
ჯენი ჰოლზერმა თითქოს ჩვენს შორის თქვა:
„მიხსენით იმისაგან, რაც მინდა!“
ზაფხულის ქარი ვერცხლისფრად ელავს სახურავებზე.
ამ დროს ქუჩაში ჩვენ ვსვამთ კონიაკს ვილაცის
სადარბაზოსთან.
და ჩვენი გვგონია სასეირნოდ გამოყვანილი
შოტლანდიური ნაგაზი.
ქუჩის პანორამა.
და სადღაც სარკმელთა მიღმა ჩაკეტილი ბედნიერება.
მაგრამ მე ვკარგავ ამ სურვილს.
როგორც ღამეებს,
ბოდვით, გინებით და წყევლით სავსე ღამეებს,
რომლებშიც საბოლოოდ იკარგება მეტყველების უნარი
და რჩება მხოლოდ მთვარისფერი მგლები
ბალანი ზაფხულის ქარში.
მატარებელთათვის გამჭვირვალე მოცეკვავე
პიროქტიო – ქალი
და ბებერი მემანქანე.
რომელმაც მატარებელი სხვა ვერცხლისფერ
ალში უნდა გაატაროს.

ჩემი ქუდი მთლიანად დასველდა და გაიყინა –
მე თავზე მეხურა კაშნე და ზემოდან –
(ძველი) გაყინული სისხლის მუქი ლაქებით
დალაქავებული ქუდი.
არბატზე მოდიოდა სველი თოვლი და
სამი მილიციონერი.
მე ვფიქრობდი: აჰა, შენი მემარცხენეთა
ხელოვნების ოქრო,
რომლის შესახებაც ლაპარაკობდი
თბილისის ტელევიზიაში.
აჰა, არალეგალური ცხოვრების
ჩრდილოური ხიზლი.
აი, მეტროს ის სადგური, სადაც
გონის დაკარგვამდე გცემეს
და საკუთარი სისხლის გუბეში
მწოლიარეს
სამხრეთ კორეული ბათინკები
გაგხადეს.
აი, მშვენიერი პატარა ქალი,
რომელიც გავროშს ჰგავს და
გავროშივით იცმევს.
მაშინაც, როცა თავის ვიდეო-არტს და
სიყვარულს აკეთებს.
აი, ტრამვაი, რომლის სარკმლებიდანაც
მხოლოდ დათოვლილი სტროგინო
მოჩანს.
აი, „ტვინი პიკსი“ „თვიქსი“ „სნიკერსი“ და „სტიმოროლი“.
ნეტა როგორია შენი ახალი მითი?
რომელსაც თხზავ, როცა მეტროდან ამოსული
სიგარეტს უკიდებ
და დღისითაც ნათურებანთებულ
ჯიხურებს ათვალიერებ.

* * *

ჩვენში: –

ვილაცას დრო აქვს და უყურებს ჟან-ლუკ გოდარის ფილმებს კინოს სახლში.

ჩვენში:

ვილაცას ფული აქვს და ყიდულობს ჟან ლუკ გოდარის ფილმების რეტროსპექტივის ფრანგულ კატალოგს.

ჩვენში: –

ვილაც ისე უპრობლემოა, რომ ეცოდება ქუჩის ძაღლები.

ჩვენში: –

ვილაცას იმდენი ფული აქვს, რომ არაყს სვამს ქუჩაში.

ჩვენში: –

ყველა ესენი იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ ჰგონიათ უკვე აღარ ცხოვრობენ ამ ქალაქში.

ჩვენში: –

ყველამ ყველაფერი იცის.

1993

* * *

ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი ებრძვის პურის რიგში მდგომთა ღამეს.

ყველა მისი სამხილი ცუდად შემჩნეულია და იაფად ეწირება რამეს:

ავტომატს ან თურქულ შარვალს.

მისი ყველა მხილება ცუდადშემჩნეულია, როგორც კედლის მიღმა ორსული ქალის ხველება.

მინის თოჯინა და ოდესღაც იაფი რკინის საწოლი,

რომლებზეც სიზმრებს არ ნახულობენ,

რომლებზე არ ისვენებენ ქალის ფეხებს შორის,

რომლებზეც ვერ ტირიან,

რომლებზეც ნახულობენ ცუდ ტელესიზმრებს.

ე. ინგოროყვა კითხულობს „ბაადურ მაინჰოგის“ ქრონიკას

და ეძახის ენდი უორჰოლს ან ჟან მიშელ ბასკიას,

ან ეძახის პურის რიგში მდგომთა შვილების კერპებს:

სტალონეს, ვან ბასტენს და კიმ ბესინჯერს,

რომელთა სურათებიც ამკობენ პურის რიგში მდგომთა შვილების კედლებს,

სახელმძღვანელოებს, ინტიმურ დღიურებს და სიზმრებს ცივ და უტრანსპორტო ქალაქში.

1992

* * *

ხატავს რკინიგზის ნახშირით
მწუხარე ვერშემდგარი მამიკო
დაიმაღლე სატრფოთა კავშირით
ანგელოზმა კარები გაგიღო.

1992

მერე რა

მერე რა რომ ხოცავენ.

მერე რა რომ ერთმანეთს უღიმიან.

მერე რა რომ უკრავენ.

მერე რა რომ თამაშობენ.

მერე რა რომ ათვალიერებენ.

მერე რა რომ ჭამენ.

მერე რა რომ იღვიძებენ.

არარესტავრირებად ღამეთა მიღმა.

ვარდისფერი ფაიფურის გემით დახატული

ღრუბლების ფონზე.

დეკადენტი პოეტები თხზავენ მანერულ გარდაცვალებებს

ამ მოვლენებზე ბევრად უფრო ადრე.

იქ, სადაც ერთმანეთს ხვდებიან და შორდებიან:

ბროკერები, ტაქსისტები

და მოჩვენებები.

რადგან არავის არ უნდა მუქი იისფერი მაიმუნები,

რომლებსაც ძინავთ.

არავის არ უნდა თქვენი საინფორმაციო პროგრამა.

არავის არ უნდა თქვენი კომენტარი, თქვენი ზრუნვა,

თქვენი დაინტერესება.

თქვენი ხმა.

რადგან:

ეს ასოციალურია და ამორალური.

ეს აბსურდულია და საეჭვო

ეს დამთრუნველია და უნიჭო

ეს გაუმართლებელია, ეს უშნოა, ეს მარტივია.

შენ

დაგესიზმრა ყველა ის გაზეთი, რომელიც ოდესმე

წაგიკითხავს.

შენ

დაგესიზმრა ყველა შენი საუზმე.

1992

შენ შიბიძლიბ მოგზაშრობა

ღამით მიმართეთ შესაბამის უბნებს,
ეს საკრებულოთა არჩევნებია

შენ ძველი დეტექტივი ხარ, შენ რომ გაჩვენებდნენ
ტელევიზორში
მე დივანზე ვიჯექი და ნაცრისფერ პურზე კარაქს
ვუსმევდი.

კასანდრა.

შენ გაჩვენებდნენ და გაჩვენებდნენ სხვადასხვანაირ
ტელევიზორში

სხვადასხვა დროს.

ის სიგარეტს ეწევა.

შვედური გამოცდილება, როგორც შესახვევი ქალაღი,
რალაც დაჭმუჭნილი, თითქოს ქარს მოყოლილი.

შეუიარაღებელი და შეიარაღებული ბანდები.

მთვარის პლასტმასი, მთვარის შოკოლადი,
მთვარის გლობუსი.

ბეიკერი თელავივიდან სირიაში.

ვეფხი ბამბუკის ტყეში, იაპონურ ტრადიციაში.

ბოროტებით მოსილი კაცობრიობა ყოველდღიურ
სამყაროში

„მე არასოდეს შევჭამ სპილოს ხორცს“ –

თქვა სუფიამ ინდოეთში.

1992

თქვენ თამაშობდით, თქვენ ხატავდით ბოთლებს
და დაკეტილ კარებს –
ბოთლებს – დაკეტილი კარების ფონზე გალიმებული,
ოდნავ მოჭუტული თვალებით. ერთი.
„ვგავარ ვარსკვლავურ გომბეშოს“ – თქვა კაცმა.
„როგორი გემო აქვს რვა წლის წინ შექმულ ყველს?“
„შენ დაგეძინა დახატულ ბაგირზე ცოცვისას“.
„სახლები, ქვაფენილები, სიზმრები“.
მშვიდობით შიმშილო, მშვიდობით
გაუთვალისწინებლო დამცირებავ,
მშვიდობით მარტოობავ,
მშვიდობით ჯანმრთელობის გაუარესებავ,
მშვიდობით მართლა უმიზნოდ ხეტიאלო, მშვიდობით
იძულებითო სიფრთხილევ, მშვიდობით შიშო,
მშვიდობით შეურაცხყოფავ,
მშვიდობით მსხვერპლადქცევავ.
პოეტურია მშიერთა სიხარბე?
რატომ არ ჰგავს მარტომყოფი მსხვერპლი სხვებს?
ანდროგინი კენტავრი.
კონცეპტუალური ვახშამი, როგორც ყოველთვის
არშემდგარი ვახშამია.
აღამიანი, რომელიც დიდხანს ფიქრობს, –
მხოლოდ ფიქრობს.
გააშკარავდა ღამე ქარხნის სიფხიზლით.
მინის კოვზებით მთელი ღამე ვახშმობოდნენ ბავშვები,
რომლებთაც
ყვითელი თმები და ნაცრისფერი თვალები ჰქონდათ.
ქარხნის კუნძული დიდ ქალაქში ჰგავდა ჩაკეტილ
გასასვლელებს,
სადაც ვახტიორთა სიზმრები გაავებულ ძაღლებთან ერთად
დასდევდნენ არ ჩართულ სირენებს, ანუ იმ ქალებს,
რომლებიც ვერ ასწრებდნენ კივილს,
როცა მათ კლავდნენ.

* * *

მე ვცხოვრობ ამ ქალაქში!
უფრო ხშირად გაუმეორე ეს შენს თავს.
აქ ჩემი არაფერია!
ეს გათავისუფლებს პასუხისმგებლობისა და შიშისაგან.
ცოდნა გვათავისუფლებს შიშისაგან.

1992

* * *

მე ვერასოდეს ვაკადრებ ქალს, რომელსაც შეეძლო
დაეწერა „ბალადა სევდიან კაფეზე“,
რომ ჩვენ მოვალთ მასთან ერთად ჩემს გადასარჩენად.
რას ნიშნავს პირუტყვი?
ცოტა უფრო ლამაზი, ან ცოტა უფრო სენტიმენტალური.
ეს ხორცი გემრიელია იქ,
სადაც წვავენ.
შაგალის სინდისით ვაჭრობის გამო
არ ღირს სევდიანი წინაპრების შესახებ საუბარი.

1992

* * *

მე ვიჯექი უცნაურ რესტორანში

გარშემო უამრავი რამ მეხვია:

ვინ არიან ისინი? მუსიკოსები? ბავშვები?

მუშები თუ ანგელოზები?

მე ისევ მიკვირს, თუ არა და მამ რატომ ვყვები?

ვინ არიან ისინი? ფრინველები? მსახიობები?

პოლიციელები?

ჰკითხეთ თქვენს გულს.

სად არის ჩემი გული?

კინომაქმანები, დაჟანგული ქვიშა, ვილაც ლამისაკენ

აქნეული ხელით.

მშვიდობით ძილში მიტოვებულ სიზმრებო:

მატარებლებში, ძველ ბინებში, წიგნებში, საბნებქვეშ,

კინოთეატრებში.

თოვლთა მიღმა.

ჩემს დივანზე, ალბათ, მოჩვენებას სძინავს

და შენი ღამე მას არ უღიმის.

რკინიგზის ანგელოზი თოვლს მისდევს.

მეტაფიზიკური პოლიციელი ღამეში ცეკვავს

თეთრი დათვივით მძიმე მთვარის ქვეშ.

ასე სრულდება კვირა დღე პროლეტარი

ბალერინას ძილში.

მისი ბესტსელერი დღეს ე. თ. ა. ჰოფმანის ზღაპრებია

ხვალ ცუდი ბრაზილიური დეტექტივი.

კროიცბერგში დასიზმრებული სტუდენტი

არ ჰგავს მინის მიღმა გადაგდებულ ღამეს.

მარტი, 1992

პლისეცტი

არქიპელაგზე დალუპულთა ახალდაბადებული
ქალიშვილები,
პლისეცკის კოსმოდრომზე, მიფრინდნენ
და უზარმაზარ წრედ

შეკრულნი

ჰგავდნენ კოსმოდრომის გვირგვინს
თოვლსა და ვარსკვლავებს შორის.

კოსმოდრომის გარშემო – ტაიგასა და რამოდენიმე
საიდუმლო ქალაქის გარშემო.

ქართველ ჯარისკაცთა ბოლო გენერალი
ჩხუბებით, სიმთვრალით და უბედური შემთხვევებით
ტოვებდა პლისეცკს.

„მირნის“ ჰოსპიტალში არავინ იყო ამ კამპანიის
მეისტორიე.

ჩვენ, ქართველები, წამოვედით აზერბაიჯნელებთან,
სომხებთან და ოსებთან ერთად,
ყაზახებთან, თურქმენებთან და უკრაინელებთან ერთად.
ჩვენ მოვდიოდით ჭუჭყიანი სატვირთო მანქანებით.
ვბრუნდებოდით ჭუჭყიანი მატარებლებით.

1992

სირენა

(*ედღენება ფ. ბაზერელის „სირენას“.*)

*„სამყარო, ჩვენი სამყარო, ისედაც საკმარისადაა
გალარიბებული და გაუფასურებული“.
სიუზან სონტაგი*

ქარიან ღამით ზღვიდან ყვიროდა ქალი თითქოს
შველას ითხოვდა.
ნაპირზე ახალგაზრდა მუშა სასაცილოდ
მილასლასებდა.
ქალის ყვირილზე ის ტანსაცმლიანად გადაეშვა წყალში
შეშფოთებული და ბედნიერი,
რომ შეუძლია გადაარჩინოს:
კეიტ ბუში, სოფი, ბ. ჰავკინსი, ტორი ამოსი.
მეოცნებე მუშა დაიღუპა ჭუჭყიან ზღვაში – ღამესავით
ბნელ წყალში.
იახტიდან გადმოვარდნილი ქალი კი,
როგორც ყოველთვის
უკანასკნელ, გადამწვეტ წამს
გადაარჩინა, იახტის მფლობელმა,
პოლიტექნიკურმა პრინცმა.
და მათმა ერთბაშად დამშვიდებულმა იახტამ –
გააგრძელა სრიალი ბნელი წყლის ზედაპირზე,
მრავალფეროვნად მოციმციმე ნაპირის
ილუმინაციათა შესახვედრად
გარდაცვლილი მუშისთვის ღამის ზღვა
ბავშვობისდროინდელ მუდამ სველ სანოლად იქცა.

17 სექტემბერი, 1992

* * *

ჩვენ ვწუხვართ ამ სისადავით.
 მზეზე მოელვარე დღე და ჭიქა ჩაი.
 მე ვუყურებ ჰორიზონტს, რომელიც თავისუფალია
 სადღაც შორს.
 ვწუხვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ვწუხვარ.
 ო, სიდონია შერმანია ო, ვახტანგ მერცი
 ბურჟუაზია თავისას ითხოვს.
 ინგლისის სამეფო ოჯახის ქორნილი
 ტელევიზორში ჯეფ კუნსის ნამუშევარს ჰგავს
 ეჰ, „ჯეფი“, „ჯეფი“, – რომელიც ბევრს
 ლაპარაკობდა მორალზე
 ყოველთვის ასეთი შეუბრალებელი იყო,
 რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემთვის უფრო ძვირი ხარ.
 და მხოლოდ ჩემი საკუთრება უნდა იყო?

ივლისი, 1992

ღამის შინ

ხოლო მათ ეცვათ, რაღაც უმბრისფერი და მწვანე,
მაშინ, როცა დღე საბოლოოდ ქრება.
და ვილაც მათ გვერდზე მოდიოდა შადრევანში
დასველებული ფრთებით.
მისი სილუეტის მიღმა ჩანდა ქარხანა.
მისტიკური პანტომი, იარალი და უნებლივ
საცხოვრებელი ოცნებებისა –
უკეთესი ცხოვრების შესახებ.
რომელშიც მუშები მცენარეებს ჰგავდნენ
ჭუჭყიანი ტბის ფსკერზე.
ვაგლახ, რომ მათ მთვარეულ მოძრაობებს,
ქარხნის მიღმა, ქარხანაზე უფრო დაუნდობლად
სპობდა გარემო;
დამძიმებული, დიდი ხნის წინ შობილი,
ან სულაც ამ წამს გაჩენილი სურვილებით.
რომელთა უკან ამოფარებული
ადამიანისმაგვარი არსებები
დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთში ღვთისსწიერს.
მაშ ასე. ღამდებოდა და ისინი მოდიოდნენ
ჭუჭყიანი პარკისკენ,
საიდანაც მათ შესახვედრად გამოვიდა ვილაც –
შადრევანში დასველებული ფრთებით.

1992

* * *

ჯენი ჰოლზერის სურათებით პარიზის მეტრო
 იძენს შეშლილ და კარნავლურ იერს.
 ვითომ კლოშარიც კიბესან რომ ეგდო,
 ველარ ახარებს მგზავრს გულისხმიერს.
 შენს საკონცენტრაციო ბანაკში,
 რომელიც ჰგავდა კიოლნის ტაძარს,
 სადღაც კრინეფეტცთან ჭუჭყიან ლაბადაში გახვეული,
 როცა ჰგავდი ბებერ კურდღელს,
 სასაცილოდ ინვდიდი ნვიმისაკენ ხელს.

1991

ერნსტ ბარლახის ხსოვნას

ყველაფერს ამერიკული სიგარეტი ჯობია
ზიხარ და ენევი, როგორც ჰერცოგი.
შენს ძვირფას იერთა შორის.
გახსოვს ბებერი, სადა „ჰერცჰორნი“.
მტრედები, ტაძარი, სარა.
ქურთებს ვერტმფრენიდან პურს უყრიან,
მათთვის ეს არ კმარა.

1991
კიოლნი

ქარხანა ჩვენს მიღმა

ამ და სხვა გაცილებათა შორის,
რომელიღაც ქარხანა დაგვრჩა წვიმაში
მიღმა ალერსის, შიშის და ერთად წოლის
როგორც უცნობი – დავინყებულ სიზმარში.

იმრე ამოსის სხვა სურათს ჰგავდა
იერსაშიში, ყრუ, თვალლიად მიტოვებული.
იმ დღეს სარკმლებით წვიმის წყალს სვამდა
გარდაცვლილ მუშათა სევდიანი გულით.

მუშათა ბავშვებს ნისლში მოჰქონდათ
ღარიბი სიმღერა და სველი პური
და ყველაზე წინ რომელიც მირბოდა
კვდებოდა ხელებში ქალაქის ფულით.

ჩვენ კი ვინეკით და ერთმანეთში გვეწყო ენები
ჩონჩხებადქცეულთ ყველა გზის მიღმა
სევდიანი და დაბნეული გრძელი ხელებით
ვიღაც ქარხნის კვამლით ვარსკვლავებს ჰგვიდა.

26 მარტი, 1991

* * *

ჩვენ ვერ მოვასწარით გამომშვიდობება
იმ ნიშანთა შორის,
რომლებსაც მოჰქონდათ ვილაცის ფლობის
ან მსახურების სურვილი.
აღზნება, იმედი, ხრწნის შიში,
მშიერი სიცილი.
ადამიანის ცხოვრებაც ღარიბია და ხანგრლივი
ამ ქალაქში, ამ ფოტოზე, წერილებში
ჯერადაბადებულთა მოგონებებში,
რადგან მხოლოდ სხვაა ძონისფერი ხილული
ჩვენთვის
და შიში გვანატრებს უსიზმრო ძილს.

1990. მაისი
მოსკოვი

* * *

ისინი ჰგვანან სცენის აბსურდულად თაყვანისმცემლებს,
რომლებიც მოულოდნელად მსახიობთა საპირფარეშოებით
შეჭრილნი

აქედან ეცნობიან სცენის კუმირთა ცხოვრებას.

აქ აგებენ ისინი გარემოსთან ურთიერთობის,

თავიანთ გეომეტრიულ უხილავ სქემებს.

ცინიზმი მათ ხელებში, უამრავ პატარა,

ჩაქუჩებადაა დანანევრებული.

ზოგჯერ ისმის ხმა, მათ მოსვლამდე არსებული,

მხოლოდ მათთვის დაკარგული ცხოვრებიდან.

აბსურდია გაზაფხულის ეს დილა,

თუკი გნომის ქალიშვილზე არ ფიქრობ.

უხილავის სინათლის მასონთა სიცილი.

სადღაც ისევ თამაშობენ ბეისბოლს.

უსმინეთ უნგრელ დოქტორს

ამერიკული ფეხბურთი

სირბილი სანაპიროზე

ოცნება ტიტანიკში მცხოვრებ

ამფიბია სულებზე.

საქსაფონი

მაკარონის ქარხანა,

კვამლით ემშვიდობება ვარსკვლავებს.

რა ვაკეთო?

ახალი ცვლის მოსვლამდე, ერთი საათით ადრე,

ლამით ცივ ქალაქში,

სადაც აბსურდული მოგზაური

ჩემსავით

დამალულ გამჭვირველ კედლებს მიღმა

ოცნებობს ძილზე,

რომლის შემდეგ ღირს გამოღვიძება.

აპრილი, 1990

მოსკოვი

სიყვარული კომენდანტის საათის დროს

100 წელი
ქაჩხაძე ახილი

შალვას გრძელი ლაბადა ეცვა; ის მღეროდა
ორ ბოთლ არაყზე,
რომელიც უნდა წაეღო, გაზაფხულის წვიმაში
პატრულთა მიღმა,
ქართველ და რუს ქალებსა და მამაკაცებზე,
ჩაშლილ როკგასტროლებზე
რაიონებში „მიტინგოსნებზე“ და ვილაცაზე
ვინც მასავით 1960 წელს დაიბადა.

გარეთ აღარ წვიმდა.
სამედიცინო ინსტიტუტთან პარტულები
მანქანებს აჩერებდნენ.
მოგვიახლოვდა კომენდანტის საათისა
და ერთგულ მეუღლეთა ღამე.
ძალღი წვიმაში სადღაც ეკლესიასთან
და უმიზნოდ გადაყრილი ნიშნები.

გადაღებული პოლიტიკური გრაფიტიც არითმია.
ვერაფერი გვინესრიგებს ყოფას.
„ჩვენს სამშობლოს არ შეუძლია სპონსორის გარეშე ყოფნა,
სპონსორი თუნდაც თურქეთი იყოსო“ – ვილაცას უთქვამს.
შალვა კი მძიმედ სუნთქავს,
ოთახიდან გასვლისას ძალღს ეფერება.

გრძელ წვერსა და ღიპს შორის გულთან იხუტებს ბოთლებს
და ლიფტში იცინის.

ანგელოზთან ერთად თავქვედაშვებული
სად დავინყებთ ტირილს?
რომელი ბალიდან გამოგვინვდიან ხელს,
სველი მინის გასწვრივ

მოარულ ტანკებს შორის?
ეს არის სიყვარული კომენდანტის საათის დროს.
შიში და სამხედრო – სპორტული რეჟიმი,
გოთიკურ კათედრალთა მსგავსი ფოლიანტები და ხელები,
რომლებსაც საყვარელი ქალის სუნი ახსოვთ.

5 მაისი, 1990
თბილისი

ანდერბრაუნდი

პატარა ნერვიული ქალი მოსკოვში რეკავს ტელეფონით,
მგზავრობს გარეუბნით მატარებლით.
გაზეთებს კითხულობს, მისამართებს ცვლის.
მთვრალი იძინებს ტელევიზორთან,
რომელიც ორი წელია არ მუშაობს.
პატარა ოფლიანი ქალი ხელშეხვეული მოსკოვში რეკავს.
გორილას ღიმილიდან იშლება მინდვრის ყვავილი მისთვის,
როცა ის მიდის ერთი ვაგზლიდან მეორეში.
იმ მატარებლიდან გადმოსული,
რომელშიც ჰყიდდნენ დს-ს გაზეთს.
თოჯინა, თოჯინა, პატარა ნერვიული ქალი,
ყველაზე დიდი ვარდალაკია, ტელეფონს ჭამს.

მაისი, 1990
მოსკოვი

მიცვალებულთა ხსოვნის დღე პალანგაში

დამცირება, რომ უსახსრო ხარ – სად არის ლატვიის
ემიგრაციის განძი?
მიცვალებულთა ხსენების დღეს პალანგაში საშინელი
ქარი ჰქროდა და ნვიმდა.
ლაიმას ბავშვი დაუსველდა – ტაქსით მაინც წასულიყო.
მეგონა ეს ღამე უფრო მომგებიანი იქნებოდა
მძლოლებისათვის,
მაგრამ უმეტესად ყველანი ფეხით მიდიოდნენ
სასაფლაოსაკენ –
„მიაქციეთ ყურადღება, რომ სასაფლაოზე ქარი
საერთოდ არ იგრძნობოდა?“
შემოდგომის იმ სევდიან დღეს, სასადილოში
და მანამ პარკში
წარმოსახულ წერილებს ვთხზავდი.
მერე მეძინა; შუადღის ძილი ძალიან მძიმე მქონდა.

გამოღვიძებული, საწოლიდან, დიდხანს ვუყურებდი
 მუქ ღრუბლებს,
 ნვიმაში ხმაურით მოშრიალე ფოთლებს
 და ვფიქრობდი რომ არ წავიდოდი.
 რა გვესაქმება სხვის მკვდრებთან? კონცერტი ხომ არ არის?
 ისედაც ცოტანი წავლენ. ვახშმის შემდეგ ფილმს
 აჩვენებენ...

„სიტყვა-სიტყვით გარდაცვალება მზის მიღმა წასვლას.
 მის მიღმა დამალვას ნიშნავდა“ – მითხრა როგორღაც
 ლატვიელმა კოლეგამ,
 რომელიც იმ დღეს უკვე რიგაში იყო.
 მე ვაგრძელებ მის ხმას ჩემში:
 „გინახავთ ნერინგას სასაფლაო? იქ ხის ძველი ნიშნები დგას
 ძალზე საგულისხმო ფორმების“
 იმ დღეს ნერინგაშიც წვიმდა
 და მე ორ მეგობართან ერთად
 ნერინგას „საუცხოო“ წიგნის მალაზიის ნახვა მსურდა,
 შემდეგ კი რომელიმე ბარში კონიაკის სმა.
 ეკლესიაში მუზეუმი მოეწყობა –
 ფოტოებიდან ვერაფერი გავიგე ძველი ჩემთვის
 უცხო ყოფის შესახებ
 სასაფლაოს კი ბევრჯერ დავუბრუნდი
 პირველად „ლულუს“ თხზვის დროს.

„ჩვენში – ჩვენს ქვევით – სამყაროს ქვევით“
 სასაფლაოთა იდუმალ ხატებს ჩვენზე ხსოვნა
 ცოტას თუ ახსოვს, რომ საფლავები მხოლოდ მათთვის,
 ცოცხალთათვის როდი კეთდება,
 რომ საფლავები ხშირად მათ მიერ დამახინჯებული ხომალ-
 დებია,
 ღამეთა დავარსკვლავ ზღვაში სამოგზაუროდ.
 მიღმა ჩვენზე ნაამბობის, მიღმა მზის, მიღმა სიზმრების.

1989
 აბაშა

წერილი უცხო აღმოსავლეთიდან

(ანზელმ კიფერის „ეროტიკა უცხო აღმოსავლეთში“)

ზღვაში დამარხულ თვითმფრინავთა ზევით,
 სიზმარში, მერამდენედ ნახავ ამ გამგზავრებებს,
 რალაც საიდუმლო დესანტის რიგში ძველ ფოტოებში
 ნანახ ზღვათა ახლოს.

ცივი ნისლებით გარემოცულ ნაპირზე ხეების
 ზემოთ აფრენისას და იმავე დროს
 ჩასასხდომად მზადებისას სრულიად უცხო აღმოსავლეთის
 მკაცრი იერის მეთვალყურე.

ეს მხარე მეორდება ჯარისკაცთა ვერცხლის გულეებში,
 რომლებსაც სძინავთ
 ღამის მინარეთთა ზევით ფეხებგაყინულ სხეულებში
 თითქოს ნათხოვარი სუნთქვით.

ზღვა ქარების სასაფლაოს ჰგავს ნისლში – მასზე წვიმს –
 შავი ტყავის ქუდი, წერილები უკვე რომ ყვითლდება
 სველი პური.

ალარ ჩამოვთვლი სხვათა თანხლებას –
 ჩვენ ვინყებთ ბრძოლას,
 გადაადგილებისას მოუხელთებ ვერხილულ
 ნიშანთა შორის.

ზღვათა ზემოთ და გასწვრივ ნელი მძიმე ფრენისას.
 უკანდახევით სასირცხვო ლტოლვით იძულებით
 განურჩევლობით

ბრმა არმიის შვილები სასაცილოდ შემარზრზენი ტექნიკით
 მოკამათენი ან მძინარენი. ვერმეოცნებებნი. ვერმნდომნი.
 ჩვენ ვტირით ამ წვიმით საცხედრე – თვითმფრინავში,
 რომლის კედლებზეც ზოგჯერ ცუდ ფოტოებს
 და ნახატებს ვაკრავთ.

ჩვენი რაზმი მკვდარ ვეფხვს ჰგავს ზღვაზე – ცის ფსკერზე.
 გამგზავრებები განახლდება,
 გაგრძელდება მოგზაურობისას.

8 ნოემბერი, 1989

* * *

ხანგრძლივი მოგზაურობა ღამეების მიღმა
ჩვენ ვეცემით, მივფრინავთ თუ ვიმართებით:
ავტობუსებში, ტრამვაიში, სიზმარში მანქანის
გასაჩერებლად აქნეული ხელით.
მე თავიდან მიკვირს ყველაფერი, რასაც უბრალოს ვეძახით.
ძილი, სარკმელში ყურება, პურის ლეჭვა, გასაღებების
დაკარგვა.
ჩვენი მეტყველების ხანგრძლივი, უსასრულო
წიგნი ყდაგაცვეთილი.
ჩვენი ღარიბული, ან ზოგჯერ უკეთესი სამოსით, ღალატით,
როგორც ცხოვრების წესით, ერთმანეთის სიბრალულით,
სიცხვეში ჩაის სმით. საცხოვრებლებში
დაფანტულნი ვკითხულობთ
და ერთმანეთს ვუამბობთ წაკითხულს.
სხვა ქალაქებიდან ჩვენსკენ მომავალთ ვატანთ მოკითხვას,
უკეთეს სურვილებს, ან ვილაცას ვწირავთ,
თითქოს უბოროტო შურისძიებით.

აგვისტო, 1989

* * *

„როცა მეუბნებოდნენ: „ბილეთს [თვითმფრინავის, ფეხბურთის, მატარებლის, კინოთეატრის და ა. შ.] ყოველთვის ვიშოვით“ – ვერაფრით მანუგეშებდნენ. და ასე იყო ყოველთვის – ბავშვობიდან. ყველა ის აკრძალვა, რომელიც გარშემო არსებობდა და რომელთა გვერდის ავლის შესახებ ამდენი მსმენოდა სხვებისაგან, მაინც მუდამ შეშინებულს მტოვებდა: წინაშე რაღაც ფორმალობების, ოფიცოზის...

იქნებ შემდგომში პიროვნების მიერ რწმენის დაკარგვა, გაუთავებელი ეჭვი, სწორედ იმის ბრალია, რომ ბავშვობიდან მას ღრმად სჯერა: ეს [რალაც] არ შეიძლება – არ შეიძლება სხვაგვარად მოქცევა მიღმა იმის, როგორც გასწავლიან და როგორც მიგითითებენ. თქვენ მეტყვით, რომ რწმენის დაკარგვა არაფერ შუაშია, როცა არც გაგაჩნდა რაიმე რწმენის მაგვარიც კი, მაგრამ ფვიქრობ მისდაუნებურად, შესაძლოა ის ჩემი ბავშვობის თავხედი მეგობარი უფრო რელიგიურია, ან ყოველ შემთხვევაში ცხოვრების მეტი უნარი და ნება გაჩნია [რადგან იმდენად კი არ სჯერა, მიჩვეულია, რომ აროდეს გაინირება], ვიდრე მე, ვეროდეს რომ ვერ განვთავისუფლდები შიშისაგან.

ერთი მეგობარი მეუბნებოდა: ბილეთს ყოველთვის იშოვი თვითმფრინავზე, ნებისმიერ რეისზე მაინც რჩება ერთი ან ორი თავისუფალი ადგილი. როცა მასაც არ ვუჯერებდი, თუმცა ამ დროს ვცდილობდი თავი მხნედ დამეჭირა – მე ერთბაშად მივხვდი – არათუ ღმერთის, არამედ არავისი აღარ მჯერა, ვერავის ვენდობი. განგება ჩემთვის თითქმის ყოველთვის ბოროტების ან სასჯელის გამომვლენი, თავსმომხვევი კანონზომიერებაა, ღმერთი კი ის ვილაც, ვინც მისგან თავის დასაღწევ ბილეთს გამოვნივებს“.

*

თუკი ჩვენ დავხატავთ პოპ-არტისეულ ტეხილ ქალს დისახლისის ძვირფასი, ახალი წინსაფრით და ინგლისური მკვერსასრუტით და არა გერმანულად დახატულ მკვლელს, რომლის უკან დანგრეულ მაგიდაზე ნავთის ლამპა დევს, სარკმლიდან ღამე მოჩანს, მის წინ კი კისერგამოჭრილი ქალი, მუცლის ქვეშ, ფეხებთან შეგროვილი, დაღვრილი სისხლით [ERNST LUDVIG KIRCHNER „der mordwe“ 1914. Farblitografie, 50,4X59,7 სმ.], ჩვენ შევეცდებით დავრწმუნდეთ, რომ ვილაცას ჩვენს გარდა, დააინტერესებს ჩვენი თავი, ჩვენი დანახული, ჩვენი დამახსოვრებული, მაგრამ ეს ხომ

ისეთი სისულელეა – „დაინტერესებს“ ე. ი. ჯერ და უკვე არ აინტერესებს.

ყველა თანმიმდევრობა და კავშირი ირღვევა; რომც ვგრძნობდეთ, რომ არასწორად ვხედავთ [თუკი ნამდვილად განცდილ ხედვაზე ვლაპარაკობთ] და არასწორად გვეძლევა – დიდი რა იცვლება ამით – ისევ ეს უღმობელი განურჩევლობა გვმართავს, რომლის ფატალიზმად წარმოსახვას ვნატრულობთ.

ყველა, ვინც გაურბის ყველაზე შინაგანს და საშიშს, ამასთან, თამაშით ტკბობასაც, მაქსიმალისტიკა და მისი ხვედრი, ალბათ, როგორც ყველა ამგვარისა – კომპრომისია.

* * *

არსებითი შეიძლება იყოს რამოდენიმე თემა; მაგალითად: ფიზკულტურის გაკვეთილი ანუ თოთხმეტი, თხუთმეტი წლის ქალიშვილები ერთნაირ საბჭოურ სპორტულ „უნიფორმაში“ ბაგირებსა და უშნო ამაზრზენ ტრენაჟორთა შორის. აქ არსებითია – დამამცირებელი. მხოლოდ დამამცირებელი, გარეშე სხვა მხარეთაგან? მართლაც საინტერესოა ის, რაც სინამდვილეში მოხდა: შეურაცხყოფილი ბავშვები ეგუებინათ თავიანთ მდგომარეობას ნერვიული სიცილით, მოჩვენებითი გულგრილობით, ბავშვური გამძლეობით თუ ოპტიმიზმით და რასაკვირველია, ამ საქმისათვის საჭირო სისულელით. მაგრამ მთელი ეს სცენა შორიდან, მათთვის დამამცირებლის განცდას იტევს და აძლიერებს [კლასელი ბიჭები ხატავენ გაშიშვლებულზე უფრო სამარცხვინო მდგომარეობაში მოქცეულთ, მანიაკი მასწავლებელი, რაღაც იდიოტურ ეროტიულ პოზებს აკეთებინებს, ვითომ ვარჯიშის ელემენტებია, „დარბაზში“ საკმაოდ ცივა და ა.შ.].

1988

* * *

შენ და მამაშენი ბარგაკიდებული მიდიოდით ქუჩაზე
ნეკრასოვის ბაზრის უკან.

აი, აქ იცხოვრებ, აქ იქნება ოთახი შენი კომუნალური ბინის.
მონყენილი გულგრილად უყურებ მაღალ ფრონტონებს.
ხელახლა დაბადებული ცოტა ხნის წინათ

საავადმყოფოს პალატაში –
გამოლვიძების შემდეგ, როცა სიმარტოვის მყუდრო

სიჩუმემ არ დაგტოვა, –
ექიმების შემოსვლისა და მათი საუბრის შემდეგაც.
როცა ცოტა ხნის შემდეგ ყველას დაავინწყდება იმაზე ფიქრი
თვითმკვლელობის ცდა იყო, ის რაც გააკეთე

თუ ამგვარად შენიღბვა ნარკომანიის.
შენ ერთხელ თქვი: – „ლენინგრადი იმ აბს ჰგავს, რომელზეც
ავადმყოფი ამბობს – მინდა, თუმცა იცის,

რომ ეს აბი ვერ უშველის.
ერთხელ შენ დანერე: – „ამ რეალური ცხოვრების
პორნოგრაფია, მიფფრინავ“.

ნულარ დანერ, რომ რეისი არ გახსოვს.
ნულარ დანერ, რომ უკეთეს სამყარომდე მიღწევის გჯერა
აქ თვითმკვლელობის ცდას ვნიღბავთ ნარკომანიით.
განა შესაძლებელია ოცნება უცხო აღმოსავლეთზე,
უცხო ჩრდილოეთზე, უცხო მინისფერზე?

1988
ლენინგრადი

* * *

დაცემისას საკუთარი სხეულისაგან გავუცხოვდი
და მაინც არავის ვეკუთვნი... მძულხართ...

მე ცუდმა მეთევზემ შემჭამა, უკვე გაყინული,
გადასარჩენი, თავდაცემული, ქვევით მისული.
მისეული პერანგი მისულს ითხოვდა ბრმა ძალლი
მისკენ მისეული, თავმიცემული თოვას ოქროს

ცრემლებით.

მისკენ მისული მისულს თხოვდა მოსმენას

ღამედქვეული

წყეული, ღამედქვეული.

სხეული პერანგის მიღმა

მისი და ეული, ძალღმისეული, მიცემული ღამეს,

ღამედქვეული.

ქვევით მისული თავდაცემული, ქვევით

თავდაცემული სული.

საშობაო ნაძვის ტოტი, სათამაშო მოხუცი ცხენი,

ქარის საათი.

ღამედქვეული მძინარე წყალი, ღამედქვეული,

გაქცეული.

ღამედქვეული პერანგი მისეული, თავდაცემული,

ქვევით მისული.

1988

ლენინგრადი

* * *

საით მიგვიყვანს ეს გზა? როგორ მალე
 დაძველდება ფილმები,
 რომლებიც გვიყვარს მწყობრად ჩალაგებული
 ფაიფურის ჭურჭელში.
 ცივი მზის რკალში, მიღმა ხეების, მიღმა თოვლის, მიღმა
 შენი ჯერ კიდევ ბავშვური ზურგის.
 წვიმის ხატებად ქცეული სარკმლები, ეს ჩემი ყოფა –
 უსაყვედურო წინასწარგანსაზღვრული
 დღესასწაული ჩემთვის,
 რადგან ვშიშობ, რომ არაფერი არ გრჩება ჩემგან –
 კედელზე მინერილი VVS-ის გარდა.
 ღარიბი სამზარეულო, სარეცხი და ვარსკვლავები
 და სმენაში ჩუმად შემოსული ხმაური მატარებლების
 ტელეეკრანზე ხიდება გამგზავრებულნი ტბათა
 მიღმა ჩრდილოეთისკენ.
 მოხერხებული ძვირი სამოსი, ცუდი საჭმელი ჯარისკაცთა.
 ტრანსპორტში საუბარი; შეშლილ მოხუცთა
 სევდა თეთრ კედლებში.
 ოქროსფერი ბალის გარემოცვაში მომავლის შიში,
 ბრამსის სიმფონიები, უძილობის სიზმრები,
 პორტალიდან გამოსვლა, როცა სიგარეტს უკიდებდი და
 მიდიოდი პურის საყიდლად.

1988

ლენინგრადი

* * *

1985 წლის ერთ დილას მე დავინყე სარკმლის ხატვა,
რომლიდანაც სინათლე შემოდის.
ეს იყო სარკმელი ჩარჩოსა და საპირეს გარეშე.
უბრალო, ნათელი სწორკუთხედი, რომელიც მერე უცხო
ლიფტად იქცა სადღაც ზეაღმავლად.
ბოლოს არმიიდან ჩამოსვლის შემდეგ ჰოსპიტლის მუქი
ჟანგიანი კარები დავხატე, ისევ სწორკუთხედი,
მხოლოდ მუქი მინისქვეშეთის ჩაკეტილი კარის.

1988

პალანგა

სტუდია

შენ თქვი: დრო გაჩერდა – სადღაც მანქანიდან
გადმომავალი,
მერე ისევ უკან, ბოთლებისკენ მიბრუნებული,
თან როცა ძველი კედლის საათს იხსენებს
და უსმენს შეკითხვას სხვის – სხვისადმი:
იმ დროის შესახებ, რომელიც გაჩერებული ეჩვენება,

ჩანთის ასაღებად დახრილს და წინ ხელგანვდილს,
 ხელის გაშლამდე
 და უკვე მანქანიდან გადმოსვლის წინ
 ვითომ მშვიდს ან თითქოს ნამძინარევს,
 როცა თავი ჯერ ისევ სანოლში ჰგონია
 და თან ხედავს:
 ჯერ ისევ მანქანიდან გადმოდის –
 ვილაც მის გვერდით უკვე წინ წავიდა –
 თუმცა, რატომ წინ, უბრალოდ სხვაგან, სხვისკენ,
 სხვისი სახლისა და შიშისკენ.
 ქვიშის ქარხანა მარმელადის ვარსკვლავებით
 საკვამური მილის თავზე –
 ისე, როგორც მაშინ, ძველი, ჟანგიანი აივნიდან –
 ტუალეტში გაკრული კოსმეტიკის რეკლამებიდან
 და ქალის წინდის რეკლამიდან
 და სამზარეულოში ჟურნალიდან ამოხეულ ფურცლებზე –
 ნატურმორტი არასოდეს არსებული,
 რადგან ძალიან სხვაგან იყო
 და როცა იშვიათი სიგარეტის მოწევის უფლებას იპარავდა
 და შორს ნისლში იყურებოდა და იმავ დროს გზაზე,
 ქარხნისკენ –
 იმ კინოთეატრზე ფიქრობდა, რომელშიც დასთან
 ერთად რაღაც ამერიკული კომედია ნახა
 და უფრო ადრე ბოთლების ჩაბარებაზე და გაოფლი-
 ანებულ ხელისგულებზე წერდა
 სათეატრო სტუდიისათვის სკოლაში,
 ბავშვთა სათეატრო სტუდიისათვის,
 რომლისაც ასე ეწინოდა –
 მაგრამ რატომ დადიოდნენ ყველანი იმ სტუდიაში?

ნოემბერი, 1988
 პალანგა

წოდებები პალტიის გვასთან

ო, ღმერთო, მინების მიღმა ჩამოსული წვიმის
 ასე მესმოდა ქარი, სიზმრები, ქვები და გაზეთები...
 უბრალო, როგორც ღარიბ სიზმარში ფრენა
 სევდიანი გამგზავრებისას ვერცხლისფერი თევზის ჭამა
 იმ დღეს მივდიოდი ნისლში
 მატარებლისკენ, რომელიც წავიდა.

მიუწვდომელი ბიოგრაფიის ელვარე ვერცხლი
 სეირნობისას წყალზე ნისლში მიმავალი მგზავრის
 აჯანყებული, შეგუებული, ქარში საათების ტირილს ბაძავს
 ვერგაქცეული და საფლავის ჯვარზე მოლიმარი –
 ისევ, როცა გამოდის სახლიდან
 და ჯიბეში ასანთს ეძებს
 ო, როგორი მძიმეა მისი ცეცხლი
 გემებზე, თვითმფრინავებზე და ქალაქებზე უფრო მძიმე: –
 მისი წერილებით შეკერილი პალტო
 სველი ხეების მიღმა მიმაქვს.

XI. 1988
 პალანგა

* * *

რკინიგზის ანგელოზთა სიზმარში გზის გასწვრივ
თან მუდამ ჩვენთან.

რადგან – შორს სახლი დგას.

რადგან – ანგელოზნი გვწყალობენ.

და რადგან – მხოლოდ შიში როდი გვეკარნახობს
სურვილს.

ურთიერთში დაკარგულნი ჩვენ ერთმანეთს
ვეძებთ.

1988

პალანგა

* * *

მეჩვენება, რომ მთვარე შენც დაგცინის.
 როცა კარებს გააღებ, ნახავ, რომ კარებთან ვიჯექი,
 მერე დასაძინებლად წავედი.
 ჩემი სიზმარი, რომელშიც შეშფოთებული და გაოფლილი
 ასე სასაცილოდ ვწუხდი, რაღაც თეთრსა და ფაიფურის
 ჭურჭელს ჰგავს.
 ეს მთვარის ჭურჭელი, სკაფანდრით მხურავს.
 ის იმდენად ახლოსაა, რომ გახედვაც კი არ მსურს.
 მთვარე, მარტოობა, კიდევ სულმოკლეობა და შიში,
 ან შესაძლოა ყოველივე ეს, მე თვითონ ვარ.
 ახლა უკვე მძინავს.

1988

ფსალმური

რალაცას ვიცავ დღეს – ეს ჩემი პანთეონია
აქ არის ყველა ჩემი უსუსურება და მხოლოდ მარცხი
მამავ, – დამარცხება ერთადერთი გზაა შენსკენ
შენ არ გამიღიმებ პატიებისას –
ამგვარის ნარმოდგენაც თავხედობაა ჩემგან –
მაგრამ როცა ხორცს ვეუფლებოდი ვილაცის
(ყოველთვის ტყუილის მეშვეობით)
როცა ქალურზე ვამონმებდი ჩემსას
და მუდამ ჩემს დანაშაულს ვგრძნობდი.
და ვილაცას ავყავდი ბნელ სადარბაზოში
ჩემს მხრებზე თავისი ღარიბული სვიტრით –
როგორ გვიყვარდა ერთმანეთი
ჩემს კვალსაც ვხედავ ამ მსოფლიურ გალერეაში

მდუმარე სიძველის ჭუჭყად რომ უერთდება
 საზოგადოდ ამოუცნობს.
 ვხედავ ჩემი კვდომის სიძველედ იერქმნას
 სახეცვლილ მწუხარებას
 სიზმრებში სევდიანი შეხვედრების:
 მამავ, ვამაყოფ, რომ შვილი ვარ შენი
 სადღაც ნაქცეული, არც მწუხარე, არც დაბნეული.
 და ყოველთვის ის უნდა მეთქვა
 რის შესახებაც სდუმან
 რაც მადლიერების გარეშე მიაქვთ
 სადღაც არა ერთი უფრო ყველა გზის მიღმა
 სადაც თოვა, ან ტკივილი, ან ქვითინი მოლიმარისა
 ლურჯ სახლებს შორის ღამის იერს შემოუნახავს
 ჩვენს მერე მოსულთ.
 თუმცა თითქოს მათ ჩვენს შესახებ
 არც ბევრი უნდა იცოდნენ. –
 მაგრამ – ო, ხსოვნის ოქროვ
 ქრისტიანთა შორის კატაკომბების
 ნათელმხილველნო
 მომავლის მოგონებათა მომავლის სევდის
 თქვენს მერე ნუთუ ვინმემ უწყოდა -
 არა თუ მეტი
 ის მაინც რისკენაც თქვენც იზრდებოდით.
 უკვე აქ ყოფნისას.
 მე ვხედავ, ზღვაში ჩაძირულ ხმათა გვირგვინებს
 მე ვხედავ, ხიდეებზე მდგომთ განშორებისას
 მე ვხედავ, ცალკე ოთახებში მოქვითინეთ.
 მე ვხედავ სიზმართა მხილველთ.
 და მათ გამომშვიდობებას,
 სადღაც რომელიღაც ნათელ სახლში
 ყველანი თავს მოვიყრით ქართან და უმთვარო ღამეს.
 აქ ყველანი ერთად დავუცდით
 მიტევების დღეს.

1988

* * *

შიფრების ხელოვნება ღარიბია. ღარიბი ნივთები
 ბიოგრაფიას ჰქმნიან.
 მე მივფრინავდი თვითმფრინავებით შეკრული
 ვერცხლისფერ გულში.
 მდინარეებით და ვარსკვლავებით ნებანართმეული
 შენს კარებთან საგდებად,
 რადგან არაფერია შემთხვევითი
 და არც ის დრო გამქრალა, როცა ტუაფსესთან
 ტყეში გაგაუპატიურეს
 გზაზე მომავალი მეგობართან ერთად და მერე
 მანქანით დაბრუნდი ბანაკში.
 როგორც ახლა ამბობ, კიდევ ერთხელ რომ აგეცდინა
 იმ „მშიშარა კაცისაგან“.
 თუმცა უკვე ამაზე აღარ ფიქრობ.
 შენ დაიბადე იმ გზაზე გასასვლელად და მიღმა შემდეგ.
 მანამ იმ ფოტოების, რომლებზეც სხვადასხვა
 დროს შემორჩი;
 იქ გენეოდნენ, თან უკვე გიცდიდნენ მდევერები.
 როცა კიდევ ერთხელ დაივიწყებ კარიდან
 გამოსული: კარებს,
 თვითმფრინავებს, წამლებს, წერილებს, ვარსკვლავებს,
 და უმწეოდ უცხოს ვერპატიებულს,
 რადგან სულელად უნდა გეჩვენოს.
 მე მიყვარს მზის პური ისტორიაზე ღარიბი,
 მასზე კეთილი.
 ცაზე გამჭვირვალე ბუჩქებს დავკარგავ იმ გზაზე,
 საიდანაც არეკლილი მატარებლები ჩემს წიგნში
 შემოვლენ.
 უცნაურია მოგზაურობის მთხოვნელთა მუდმივი
 დარჩენა.
 თუ არ მტრულად, გულგრილად მძინარე ნივთთა შორის,
 რომლებიც მხოლოდ ჩემთვის მიჯნავენ შენს
 საცხოვრებელს სხვისგან.

1988

პალანგა

მატარებელი

მატარებლებს დღესაც დააქვთ ჩვენი სიზმრები
ჩვენია მარტოობა, შიში და ოცნებები.
ძველი მატარებლები, ხიდები და გვირაბები
სადღაც გვტოვებდნენ.
რამდენი მოლოდინი აურეკლავს მატარებლის სარკმლებს.
მატარებლებს დღესაც დააქვთ ჩვენი სიზმრები.

•

ნუთუ ასე უბრალოდ მიდის ადამიანი
უმაღური ან თავმოცუებული უსიზმრო ძილში
ტკივილის თანხლებით?
ბრეტონის მანიფესტი ყველაზე სევდიანია
მანიფესტთა შორის.

1988
პალანგა

* * *

ვერაფრით გავიხსენე დასასრული. მერე მან მითხრა:
რა მნიშვნელობა აქვს პურის საყიდლად გასულთა
გზააბნეულობას.
ბავშვს და მაიმუნს ერთად ჰგავდა ის პატარა ქალი.
შენ სიყვარულით გიკვირდა ყველა მისი მოძრაობა.
საშინელია არცოდნა, როდის დაბრუნდები
მნიშვნელობა ვერშემეცნებულ სიტყვათა მიღმა.
როდის დაბრუნდები მამის პერანგში,
ნანვალებ ჯარისკაცში
ან ზღვასთან მოსულთა ნამთვრალევ სიმშვიდეში
ან კიდევ, სად ნახავ ანსელმ კიფერის სურათს
და სად გააგრძელებ სამშობლოს ძებნას.
ვფიქრობ მეფედქცეულ ბავშვთა გაბავშვებაზე,
ლამის ფაიფურზე, სილაში ნაპოვნ ფოტოსურათზე
და გერმანულ ნაგაზზე, რომელიც ფრთხილად
აჰყავდათ თვითმფრინავში.

1988
პალანგა

ბინგბერგი საბატანიელი

საბეჭდ მანქანათა ოცნებებში წვიმდა.
საბატანიელთა ავზნიანი სიყვარული
დამამცირებელი სევდა.
ლამედ ვარდება შავი თოჯინის ორეული.

•
მოხეტიალევ, სევდიანო, მუდამ ერთსა და იმავე გზებზე,
დროთა მანძილზე ცუდი შეგუებით თავს იღარიბებ
სადღა თამაშობს წარმოსახულთა მწკრივი
ველარხილული, მოუძიებელი, მოუხელთები?

1988

ის უჩივის მამას

აჰა, ამგვარად გვეუწყა, „მტარაბელი შემოდის“.
მამავ, შენ პურს ჭამ როგორც სანგარში.
იქ კი თენდება, თუმცა ნისლი ფარავს ყველაფერს.
შენს დისშვილს ცივა, რკინიგზის გასწვრივ მიაბიჯებს
რძეზე გაგზავნეს.
სადღაც რადიო რუპორი ლოზუნგებს ღრიალებს.
საშიშ მანქანათა გზებზე სიარული, სიცივე
და ნისლში დაკარგული ძველი პალტო.
მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, გახსოვს ყოველივე?

1988

* * *

მე ბევრი ადამიანი ვნახე ირგვლივ,
 ისინი არაფერს მეუბნებოდნენ.
 მე დავიღალე ამდენი უსარგებლო გამოცდილებით.
 საუბართა ნაწყვეტებით, რომლებიც დავინწყებული
 სიზმრების ნაწილებს ჰგვანან.
 ნახევრადჩაბნელებულ მეტროს გვირაბებში
 ადამიანებმა არ იციან,
 რომელი მატარებელი შეხვდებათ,
 ცოტათი თავისუფალი თუ დაგვიანებული,
 რომელიც დიდხანს ვერ იძვრის ადგილიდან.
 ერთ ვაგონში სამი შემლილი იჯდა, ორი როგორც
 ჩანს მთვრალი.
 დაძაბული მგზავრები იყურებოდნენ ერთმანეთის მიღმა
 იმ დღეს ერთხელ კიდევ მივდიოდი ჩემს სხვა
 ცხოვრებასთან შესახვედრად.
 მეტროდან ამოსვლისას წვიმდა. წვიმდა გზაზეც.

1988

სამეგრეო სამოსტფაათიანი შლების შესახებ

I

1. მაცივრის თეთრი ზედაპირი მზეში
ვილაც კარებს ალებს და ხურავს
თან სწრაფად ლაპარაკობს –
სიტყვები აღარ მახსოვს
ვგავართ მატისის გვიანდელ სურათს
და არაფერზე ლაპარაკით ვუერთდებით
მარადისობას.

II

2. ღამით თოვს. –
სადღაც ძალიან ახლოს კატები კნავიან
მე ბუნდოვნად ვიხსენებ საბავშვო პიესას,
რომელშიც ჯადოქრის მეშინოდა.
მახსოვს: თეთრი პერანგი მეცვა და
სანოლზე წამომჯდარი ვკითხულობდი.

III

3. რატომღაც უფრო შორი გზით ვბრუნდებოდი
სკოლიდან სახლში
ჯერ სასკოლო ანატომიის მოდელთა მაღაზიის
და მერე პურის მაღაზიის გავლით
გრძელი თეთრი ყრუ კედლის მიღმა
გაზეთების კიოსკი იდგა.

1988

ანდროპოვის დღე

მე იმ დროს ვგავდი ქარის სილუეტთა ფანტომს
ცეცხლისკენ თავდახრილ მოხუცებს და ბავშვებს
და ქვიშიანი კარისკენ თავანუელ ცხენებს.

მე მესმოდა მათი ზღვასთან დგომისას

პურს რომ ღეჭავდნენ.

ვკარგავდი მიწის სათვალეებს და საკუთარ ბინაში

მკარგავდნენ.

ყელსაბამთა სისუფთავის სუნით ვგავდი მისტიკურ ძალს.

ქუჩის ძალს, ექიმ მამუზეს მოცინარ ყეფას.

შვედური სინათლის კორიდორი გამინათეს

და წინ შემოძღვნენ სხვა ჩემი ორეულთაკენ.

1988

მემკვიდრეობა

მე ვხედავ სანოლს, რომელშიც კაცი ქალის
 ფეხსაცმელებს ეფერება.
 ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ჯარისკაცებს
 ქუდებში გაჩრილი ბუმბულებით და მოელვარე
 ხმლებით.
 უძველესი ფარმაცევტული და საკერავე
 მანქანების ფირმებს.
 და კლინგზორის სადარ უსუფთაო ასკეზას
 ახალი მხატვრების,
 რომლებიც არსებული აზროვნების წესის
 დაძლევის ნაცვლად
 ტკბებიან მწუხარე სამოთხეთა და ჯოჯოხეთის
 ქორწინებით –
 რადგან კაცობრიობა მემკვიდრეობად
 ტოვებს მხოლოდ ტკივილებს
 და ჰგავს ნერვიულ ბავშვს, უცხო ბავშვს,
 ან ავზნიან ბავშვს.
 იმ სამყაროში, სადაც თანმიმდევრობა
 უგულველყოფილია სიზმართა რიგით –
 და კერძო ნებათა განმსაზღვრელი ვერმორიგებით.
 ავსახოთ ახალ კავშირთა მწკრივი მზეთა
 შორის მობრჭყვიალე ქარების,
 ან წვიმიანი სარკმლების და ხელახალ გამოღვიძებათა.
 რადგან სანდო იერით ველარ ვსაუბრობთ.
 და ჩვენც არავინ გვეძებს, თუ არ ვეძებთ თუნდაც გარ-
 ეშე თანმიმდევრობას.

1988

ახალი ხალხური ხელოვნება

ერთ უნგრულ ჟურნალში ვნახე ტატუირებულ
ადამიანთა ფოტოები
იქ იყო ჩინური იეროგლიფები მელოტ თავზე,
ლენინი მამაკაცის ზურგზე. ჯო დეპსი ქალის ზურგზე
და კიდევ ერთი კაცის ზურგი მთლიანად დაფარული
ჩინური დრაკონებით.
ციხეებიდან, ბინძური მატარებლებიდან
და საავადმყოფოებიდან.

ამ ნახატმა, ადამიანებმა, სახელოვნებათმცოდნეო
 ჟურნალში გადაინაცვლეს.
 ამგვარია დღეს ხალხური ხელოვნება და ბუნებრივია,
 ესეც ვილაცას გაახსენდა „გრაფიტისთან“ ერთად.
 უცებ ვიფიქრე, რაოდენ რომანტიკულია
 მაშა მერალის ხეიბარი გოგონა –
 ფასბინდერის „ჩინურ რულეტში“ და ისევ დავუბრუნდი
 ქალის მკერდზე ამოტვიფრულ ბიუსჰალტერს,
 არწივს, ნიჟარას
 და სხვა აუხსნელ სიმბოლოებს; ყრუ კედელთა
 ფრაგმენტებს,
 რომელთა ფონზეც ვხედავდი ამ ობიექტებს.
 სამხედრო „სამსახურში“, სოსენსკში,
 ჯარისკაცებმა რომ შეიტყვეს,
 ხატვა მეხერხებოდა Ленинская комната-ში მომიყვანეს
 ერთი მკერდზე დიდად ამოტვიფრული ღვთისმშობელი
 და ყრმა იესო უნდა გადამეხატა
 სხვათათვის გადასატანი შაბლონის დასამზადებლად.
 ვუთხარი, იმიტომ ვთანხმდები, რომ ღვთისმშობლის
 გადახატვას მთხოვდნენ.
 ეს იყო ცუდი და უცნაური რემინისცენცია რომელიღაც
 დამახსოვრებული ნიმუშის.
 ის ნასამართლევი ყმანვილი პერანგგახსნილი
 იჯდა ჩემს წინ,
 მე ვხატავდი.
 რამოდენიმე სხვა ჯარისკაცი სადარაჯოდ
 იდგა კარებთან,
 რომ ჩვენს კორეელ პროპორშიკს არ შემოესწრო.
 ამ კორეელის ხელმონერა კედლებზე გაკრულ
 წესდებებსა
 და მითითებებზე ყველგან ფალოსს ჰგავდა.
 კორეელის ძალიან ეშინოდათ, ის ყოფილი მოკრივე იყო.

1988

ბასტიონება

ეს სახლი ხანგრძლივობის პერანგია
ბავშვისთმიანი მეფის რადიომიმღებით
და დანისლულ სარკეებში არეკლილი საწოლებით –
და რეპროდუქციებით სარკმლებს შორის.
ხოლო იუგენდის მანერის ფასადზე
ოდესღაც მომტვრეული ანგელოზი,
ან იქნებ იმპერიის არწივი იგულისხმება.
აივნის გასწვრივ უსახურია გარემო.
ჩრდილთა მოსაწყენი თან საიდუმლო გეომეტრია.
საღღაც უკან ხეები არეკლილი სარკმლის მინებშიც
შეუღწევადი და მოუხელთები საცხოვრებლების რიგი –
სხვადასხვა ვარაუდებს გულისხმობს და უარყოფს.
ჩვენი არქეოლოგია უბრალოა და აბსურდული.
ვერც წინახედვის, ვერც განსჯისაა ყოველივე ეს.
ოცნება უკეთ მცხოვრებთა თანაზიარებაზე
და ოთახის ძალლი ხისკენ რომ გარბის –
ოცნება დროის სხვაგვარ ცვლილებებზე თუნდაც ზოგან
და ქალი, რომელიც მინის ტარას აბარებს.
მხატვარი ფოტოგრაფი ძველ ქარში მოჭრიალე მილთან
და პიკასოს „ტავრომახის“ ფრაგმენტები პირველი
სართულის სარკმელში
საშაქარლამო „დიდება შრომას!“
მეოთხე ბიბლიოთეკის ფილიალი.
მტრედი ეკლესიის ფასადზე.
გასარეცხი ლურჯი ძველი პლედი.
თაბაშირის დამსხვრეული კლოუნები
(რომლებსაც მაღაზიაში ამსხვრევენ ჩამოსაწერად,
რადგან არავინ ყიდულობს).
ცუდი სიგარეტი დაკეტილ კიოსკებში
მანქანები, ხმა.
ბავშვი, რომელიც ნაიქცა სილის თხრისას
მანქანები და ისევ ხმა.

ბბბბბ

„...ის ყოველთვის უცნაური იყო, როცა რაიმე აწუხებდა
და სასმელი არ ჰქონდა. ქალაქგარეთ ტყეში მიდიოდა
და იქ იჯდა საათობით. სმენა კი სამსახურში აბა-
რატების სმაურმა დაუზიანა“.
მისი მეგობრის ნაამბობიდან

ის ჩემი პურის თოჯინა იყო,
ლარიბი სამზარეულოს ფერია.
ქალი, ვისთანაც ერთმანეთს შეხვდნენ
ყველანი, ვინც მე მიყვარდა. –
იქ ყაზარმაში ნანახ სიზმარში: –
მისი ოთახის ცარიელ ბაღში,
მთვარის ბაღში,
ქარიან ბაღში.
როცა მრცხვენია მგლისფერი ღამის
უძილობის დროს,
მე მას წერილებს ვწერ
სიბნელეში მწოლიარე.

აგვისტო, 1988
თბილისი

* * *

თეთრ კინოფირში ჩაძირული საწოლები.
 დოკუმენტური ქვეები ცვივა მიღმა იქ,
 რომლის შესახებ არაფერი ვუწყით.
 გენერლის ფოტო „ნაციონალური გეოგრაფიიდან“
 ეძიებს „ოლგას“,
 შაბლონებს პარიზის კედლებზე და ის სახლები
 ჰგვანან ჩვენთვის უცხო ცარიელ პერანგებს.
 ძველი ყავისფერი ფოტოსილუეტები შავ კარადებს
 და მზისფერ ფარდებს შორის.
 სარკმლის ნათელი ელავს მის თავთან და ყველა ფოტოხატი
 ბედისწერაა როგორც დეტექტივი.
 საგნები კარგავენ ელვარებას, მზე მიდის
 ცარიელ ზღვათა შორის ფანტომია ხსოვნა.
 მოხუცი მუხლებში ჩარგული ზის პორტალთან
 და ჰგავს რომელიღაც არაბულ ასოს.
 არ მსურს დროთა გაცვლა სიზმარში,
 რადგან ოქროს ნილაბი ხარ.
 ყველა ტელევიზორში ჩაკეტილი ან ჩარჩოში
 ნაგულისხმევია ქარაგმა.

1988

ლიქსი ძველ ბინაში

მეტერლინკისეული ბოდვის სევდიანი იმიტაცია,
 სამზარეულოს ჩუმი ისტორია ძველ კოვზებსა
 და ჭურჭელზე ჩამქრალი ნათურის ქვეშ.
 სადღაც შენახული წერილები, ერთსა და იმავე
 თეთრეულში გახვეული რამოდენიმე თაობა.
 სექსუალური განცდები, როცა საყვარელი ქალის
 ბავშვობის დროინდელ სურათებს უყურებ.
 ავტობიოგრაფიის მითი.
 ბაღებადქცეული სასაფლაოანი ვარსკვლავთა პური.
 პატარა მეფე მოხუცი და მერე ისევ პატარა ღმერთი.
 შენ ნახავ იმჟამინდელ ქალაქს, შენ ნახავ
 მის სხეულზე დაძველებულ თოვლს.
 მე ვუბრუნდები ავხორცობის სურათს,
 როგორც გამოსავალს
 ხანგრძლივ მზიან ზამთარში, რომელიც გულს მირევს
 სახელურთან შეხებისას
 და ლოდინით განთავსებული კარები.
 მოხუცის ხელჯოხი და ელექტრონის
 აღმრიცხველი შემოსასვლელში
 და კიდევ წამლები უფრო გვიან შეძენილი ხატის.
 რეპროდუქციის ქვეშ დახატული „ტკბილი“
 ანგელოზები წვიმაში.
 უცხოეთიდან ჩამოტანილი ახლადნაჩუქარი თოჯინები.
 ისევ შემოსასვლელში ფერადი თხილამურები.
 ძველ კარადასთან სიყმაწვილის დროინდელი
 ნატურმორტი კიდია.
 ყველა ასაკი აქ შენია და არც ერთი ასაკი შენ
 არ გეკუთვნის.

* * *

მთვარეთაგან გამოჭრილი ჯვრებით
დედოფალნი სვამენ ცისფერ ღვინოს
ჰაერისგან შექმნილი ძვირფასი თვლებით
უყურებენ ვარსკვლავთა სასაცილო კინოს.

1987

კალუგა, ყაზარმა

* * *

ღმერთებო, თქვენ საუბრობდით სასაცილოდ,
მაგრამ გასაგებად
ოქროსფერი თან შიშველი ხმები ჰგავდნენ
შეშლითა სიმზმრებს.
ვილაც დაიხარა ქვიშისაკენ თქვენი წერილის ასაღებად
ყველანი ჩუმად უვარსკვლავო შურით გაიქცნენ მისკენ.

1987
კალუგა, ყაზარმა

* * *

უხმეთ ყველას, ზურგით ატარებენ მძიმე სიზმრებში
მიცვალებული მოჩვენების არარსებულ ღიმილს.
და გაიქეცი იქეთ,
სადღაც თმებს შორის ფოთლებში.
გაზის ვარდისფერი ქარხნის შავი მდინარით
დაბრმავებული ძაღლი, როგორც ჰაუფის სიკვდილი,
ან რამოდენიმე დღით ადრე ნახევრადწარმოთქმული
ფრაზა
გემზე ან მარილი.
ან როგორც მისი, ან სხვის შესახებ სიზმარი
დღის სინათლე რაგვარად უფერული, რადგან ცივა,

როგორც ჰაუფს თქვენგან მოკვდინების ჟამს.
 იარე წვიმაში შენი მძიმე, გამოუსადეგარი ნაგავით.
 სავსე ჩანთაში არავინ შეინახავს წერილებს.
 ქვეყნის სამ მხარეს გაბნეულთა გასახსენებლად.
 არავის უნდა ამგვარად ამოტვიფრული
 ღვთისმშობელი მკერდზე.
 აქედან მოშორებული მთვარის ქვეშ.
 ის იყო სახეზე ხელაფარებული თითქმის ბავშვი
 ჭუჭყიანი კაბით და დახეული ფეხსაცმელებით.
 ღმერთი მას გაექცა ჰონგ-კონგისაკენ
 ძველ ლაზარეთში.
 იქიდან პარფიუმერიის მაღაზიაში.
 ქალაქში ცხოვრება არ დაინყო,
 რადიაციის ემინოდა.
 ის იყო სახეზე ხელაფარებული თითქმის ბავშვი.
 შიშველ შავ ოთახში ფოტოკომპლექტი
 სახანძრო უშიშროების.
 კოლაჟი სამი უნებლიე მოძრაობის
 საათის შეძენისას და ფოთლების მოსახვეტად.
 ნუ იჩურჩულებთ, არავინ ჰგავს აბესალომს.
 სარკმლებს თხები ამტვრევენ.
 მერე რა, რომ ის ტირის.
 ის იყო სახეზე ხელაფარებული თითქმის ბავშვი.
 ძველი მანქანის საწყალი გული.
 წინდებზე დახატული რამოდენიმე სახე.
 ტელევიზორში ნანახი კარი, ემირის პირველი სათვალე.
 შეიძინეთ შაქარი.
 ან, ან მერე ანასტაზისის ამება
 მელნისფერი.
 ის წერს უნგრეთში
 თიხის გულსაბნევი აჩუქეს მსახიობებმა.

1987

კალუგა, გრაბცევო

* * *

მე დავიხარე როგორც ქვისმთლელი,
ვიღაცამ შუბლზე მაკოცა.
ამ დროს ძველ ფოტოს შევხედე, დამ პიჯაკიც გამხადა.
აქ არ იყო ოქრო.
მწვანე ქალი ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს,
ჩემს მეგობარს
მის მკერდზე დაძინება უნდოდა.
ეს იყო ღამით, ღამით ოთახში,
სადაც ჩართული იყო ტელევიზორი.
დედამ მითხრა, რომ სანერვიულო არაფერია
და შუბლზე მაკოცა.
მაშინ ყველაფერი დამავიწყდა.

1987

ხანბოძლივი ეფემერა

I

პოლუნინის თეატრის მსახიობი ხარ,
 ოქროს სამკუთხედი
 ანგელოზის ფრთის ჩრდილში მფრინავი იხვი.
 ფანტასტიკური ქალბატონი შენზე ოცნებობს:
 დედაშენს ჩინურ საშაქრეს ჩუქნის.
 ერთი შეშლილი ყველა შეკითხვაზე გპასუხობს
 ერთი! და ამ პასუხით უნებლიე თეოლოგია.
 სამყარო აბსურდულ ცარიელ ეზოს ჰგავს,
 რომელშიც გაირბენენ შენი სიზმრები.
 რომელიმე მარტოსული ქალის კუთვნილი საშო,
 მთვარის პური, ბავშვების სევდა და მერე სიბერე.
 ტკივილით, ღვთაებრივი მოგონებებით
 უფალი ხედავს ყველა საზრუნავს.
 მისი სილარიბე მარტივია

და ისევ დიადი –
 ხმამალალი ეკლიპსი და
 გალაკტიონის:
 „დავდივარ, ვფიქრობ და მენანება“
 გამომშვიდობების სევდას ხვალ რაღაც შეცვლის –
 პატარა ელლი მოგზაურობს მონყენილი მატარებლით.
 სათამაშოებით განწყობილ სამყაროში თოვა
 ზნემშვიდი თან თბილი.
 ისევ ივიწყებ საკუთარის ნუგეშისცემას
 გულისამაჩუყებელი სახლის უკვდავებას.

II

დიდი ხნის მერე დამესიზმრა, რომ როგორც დღეს
 ისევ ვიდექი ამ ვოლიერის ცარიელ, უბალახო ეზოში –
 სევდიანი იყო ეს ლურჯი ჩრდილი, ისევ ფუჭი და ზედ-
 მეტი.

გადაყრილი აბები.

რომელიღაც შეშლილ თანამგზავრთაგან

მომიხლოვდა რაღაც მკითხა.

უნებლიედ დამავინწყდა პასუხი.

დღეს კი წვიმდა,

სალამოს აცივდა.

ისევ ვერავის მივწერე წერილი და არც მსურდა.

ისევ ვხატავდი მფრინავ მამებს,

რომლებიც გადასარჩენად თუ დასალუჰად

იტაცებდნენ ქალებს

და ცხადია, ისევ მე მგავდნენ.

ნახატებზე ქართულ და გერმანულ

წარწერებს ვაკეთებდი.

ქოლგის ქვეშ ვიდექი დედასთან ერთად

და წინაპრებზე ვსაუბრობდით.

ლამით დიდხანს არ დამეძინა.

1987

კალუგა, ახლებენინო, საავადმყოფო

მიმოსილვა

მას მოეჩვენა, რომ დასაწყისი და დასასრული
 კიდევ ერთი პირობითობაა,
 რომელიც ცხოვრებას ართულებს.
 მისი ასოციაციური ფრაგმენტალიზმი ბანალური
 და მანერული იყო –
 რეპრეზენტატიულად პოეტიზირებული.
 უკვე საკმაო ხანია მობეზრდა სპონტანურობის იმიტაცია,
 და თუმცა ბიუჰნერის „ლენტი“ არ ნაუკითხავს,
 მაინც შეთხზა პატარა ბიჭის ტრაგიკული
 თავგადასავალი სოფელში.
 ქალის სხეულის თეთრი ფრაგმენტები
 სარდაფის სიბნელეში.
 ზურმუხტისფერი ქვის ელვარების ბუნდოვანი ხსოვნა
 ჭერზე მოცეკვავე ფრედ ასტერით
 და სასაცილო ტრაგიზმით,
 როცა მისი გმირი მწვანე ვაშლს ჭამს,
 ის ხედავს მდინარის მიღმა დანყებულ ღამეს,
 ძველ რუკას პატარა ქოხში.
 კატებს, სტალინის და შიშველი ქალების ფოტოებს
 გარდაცვლილი, მოხუცი, ხელოსნის სახელოსნოში.

რუსულ სოფელს აეროდრომთან ახლოს
 და განვალებულ
 ბავშვს ძველ ავტობუსში ჩაძინებას რომ ცდილობს.
 აქ ცოცხლდება იდუმალი, არყოფნის ნოსტალგია
 და კარების სახელურს ჭრიალით ალებს სიცარიელე.
 დრო ჩერდება.
 აღწერა შეუძლებელია, ავტობუსის კარებიც იღება.
 ყველაფერი, მართლაც, ერთიანი რევოლუციური
 ბალეტია.
 „აბი საით გადავავადო, რომ არ გამოჩნდეს“ –
 ისეთივე პოეტურია, როგორც იუგენდშტილის
 ფოტოსალონი.
 მგზავრობის ფატალიზმი – ამოუცნობ ნებად
 განზოგადდება.
 თეთრი სიმშვიდის, ამდენადვე ბედნიერების ფერია.
 ნეოკანტიანელობა – არცთუ ნატიფი,
 მაგრამ მიმზიდველი ხატი
 მერე რა რომ ჩვენს დროში, ვილაც ამერიკაში
 კლასიკური ლექსთწყობის აღორძინებას ცდილობს.
 განა ეს უფრო ნაკლებ მანერულია, ვიდრე ვერლიბრი?
 ბინუელის საშიშ წარმოსახვას იმდენივე აქვს საერთო
 ესპანეთის რესპუბლიკასთან,
 რამდენიც კალუგას ციოლკოვსკის დირიჟაბლებთან.
 ეს გლობალური მიმოხილვაც უნაყოფოა
 და მხოლოდ იმდენად ღირებულია,
 რამდენიც ესთეტური.
 არაფერია წერა ყველაფერზე, მოსაწყენია ნერვიულობა
 ჯულიან ლენონის ვერშეძენილ „დისკზე“.
 ის ჩადგა რიგში აღმოსავლური ტკბილეულობის
 მაღაზიასთან.
 აუცილებელი დამატება.
 ფინალი. თხრობის შეწყვეტის, განწყობის დასასრულის
 რეპრეზენტაციის გარეშე.

1987

კალუგა, ახლებენინო, საავადმყოფო

* * *

კარები, რომელიც მხოლოდ ხმაურით იკეტება.
 საბრალო მუსიკოსია პატარა კომისარი.
 თმებს გაზზე იმშრალებს. გაღიმებული სიგარეტს ეწევა.
 რელიგიურობა ჩემთვის კარგი ცხოვრების სიმპტომია,
 სიღარიბე ასტრალური სიმბოლო.
 მე დავტოვე პატარა სანოლში დიდი ქალი.
 მე ვნახე მთვარის ღიმილი ქარში მქროლავი,
 შეშლილი პიერო სატვირთო ვაგონის თავზე
 და გუბე რკინიგზასთან, რომელშიც ვაგონთა
 ცარცით დაწერილი ნომრები ირეკლება.
 ჩვენში ის კულტურაც არ არსებობს,
 რომლის კონტრკულტურამაც უნდა იარსებოს.

1987

ნოკვიბიუღი იბავი

მე აღარა ვარ მდიდარი.
თეთრდება – მშვიდობით.
ვერდათოვლილი მხრები
შავი ტრამვაის.
გრძელი ანგელოზური ნისლი
აგატა კრისტის ორნამენტებით
ვარდის ლაბირინთისათვის.
უფლის ხელი
ზეანვდილი მზერის შესახვედრად.
მშვიდობით –
დაკეტილი სახლია
პიანინო.
ვილფრედ საგენის დაკარგული ხელი.
ჰგაეხართ ანგელოზს?
შვედური საათი შემოდგომისას
მწუხარე და სადა,
ნათელიც იმავდროულად
მოსარკული ზედაპირის
სხვა ფრაგმენტი
დასამახსოვრებელია.
როდის?

1987

მგზავრობის ანბელოგი

ცხელა. მატარებელში წევხარ.
ერთბაშად ბევრს ფიქრობ:
გარემო და ეს გზაც
შენი ნააზრევის ანარეკლია.
ის, რასაც შემთხვევითობას ვერ უწოდებ,
მაგრამ ვერც ღებულობ
და ისიც, რაც ღვთიურია,
რადგან კეთილგანწყობილი,

ასევე
 სევდიანიც, რადგან ნამყოა.
 მძიმე ხიდებს მთვარე ანათებს,
 აი დაიწყო პირველი მდინარე
 შენი სამშობლოსი და ჩაგეძინა.
 სიზმარში ხედავ:
 დარბაზში ხალხი იკრიბება.
 ბერგმანის ფილმს აჩვენებენ,
 შავ ეკრანზე თეთრი ლაბირინთი ჩნდება.
 ფილმში მოულოდნელად ბევრი მოქმედებაა.
 მსახიობები რეალურ ცხოვრებაშიც მონაწილეობენ,
 ეკრანიდან გადმოდიან
 და მერე ისევ ბრუნდებიან ფილმში.
 თოვლი, მონოლოგი, საათი,
 ისევ მონოლოგი.
 ვილაც ძვირფასის მომავალზე მღელვარე სევდა.
 ტელეფონი, ისევ საათი.
 მატარებელი მატარებელში
 კუპეს დაბალ ჭერზე წარწერა:
 „ლიაა – დახურული“
 მოძრავი კორიდორის შუქი
 სარკმლებს მიღმა.
 ფრენით თანამგზავრი მოჩვენებანი.
 დარბაზი უჩვეულო სტუდიას ჰგავდა.
 ამ პავილიონშიც არაფერი უწყიან.
 მთვარეულის პიანინო.
 მერე, მამა შვილს ფეხებს ბანს,
 თითქოს ნათლავს.
 ო, მდინარეში არეკლილი ვარსკვლავთა ბრუნვა
 და მგზავრობის სევდიანი ანგელოზი
 შუბლნათელი მზეერადახრილი
 მგზავრთა მშფოთვარე ძილისაკენ.

1987

კალუგა, ახლებენინო

ერთი თვით ადრე

ჰური, ანგელოზი, თანხლება.
 გრძელი მშვიდობიანი წვიმები.
 წერილები, ისევ სიზმრები.
 შემოდგომა, რომელიც ძალიან ლამაზი
 იყო სადღაც ფინეთში.
 ზღვები, რომლებსაც შენ იხსენებ ლამით
 დასაძინებლად წასვლის წინ.
 თეთრი კონვერტი.
 მარკა: სინიორელის პორტრეტით.
 მწუხარება არა შეტყობინება,
 ან მისი მიღება განშორების, ველარ შეხვედრის შიშით.
 არამედ სხვა: სადღაც არყოფნა
 და შეგუების წყნარი სიხარული.
 ნავსადგური.
 სანაპიროზე წყნარი ხეტიალისას
 ის არ ფიქრობს.
 ფრინველები. წვიმები.
 ხსოვნაში არ არსებობს განურჩევლობა.

1987

კალუგა, ახლებენინო, საავადმყოფო

ახლებინო

პიონერი ან რეციდივისტი ქალი,
დებერტირი ჯარისკაცი, რძის მოსატან ურიკაზე,
ბებერი ცხენით

ღამით ჰკიოდნენ.
ჩვენს თავზე სინათლე ენთო.
ტრანკვილიზატორების შემგროვებელი
ტუალეტში მოპარულ

სიგარეტს ეწეოდა.
დაღამდა:
თუ ერთხელ შეხედე ამ კედელს
და მასზე გავლაც მოგინდა.
გარეთ ჰერმაფროდიტის ტრანზისტორი ღრიალებდა
და გალიაში გაგვრეკეს.
ისე მეძინებოდა მძლოლებს შორის პატარა ვაგონში.
ისე მინდოდა დარაჯის ჯიხურში წამოწოლა
ერთხელ მაინც ცოტა ხნით.
თუკი ერთხელ შეხედე ამ კედელს
კიდევ იცდი?

ივლისი, 1987
კალუგა, ახლებინო

* * *

წიგნების გასაყიდათ საწოლზე ჩამომჯდარ ებრაელ ქალს,
 ან მოქანდაკეს სოკოებს რომ ხატავს და ფოტოებს
 აფერადებს.

ისევ არ ვუნცი დასასრული ამ აბდაუბდის.

ტალინის ხედები შავ როიალზე.

მოხუცი მსახიობის საფერფლე, რომელიც მისთვის
 მარჯანიშვილს არ უსროლია

და არც გეორგ გროსის თავმომწონე პენისი,
 როცა ავტოპორტრეტში ქალის გავას ხატავს –
 ჭუჭყიანი რეპროდუქციებია.

უკვე იქ დაგვივინყეს.

ჰიპერეალისტური მოტოციკლეტით მხოლოდ
 სამოციან წლებს მივალნიეთ.

იქაც გავიცანით ჰოსპიტლიდან გამოქცეული უიგერი.

მიამბეთ ამ აბდაუბდის მოსაგვარებლად.

მოგზაურობა სასაცილოდ გაჭიანურდა, ჩინელების
 სოფელი კი არ ჩანს.

გარდაცვალება ანტიკური სიდიადის ჩრდილში.

ასოთამწყობთა კომიზმი ვიდეოკამერის წინ.

ინტერვიუში ქვიშის სამკურნალო თვისებებზე,

მზის ჭრელ ლაქებზე, ცუდად შედებილ კარზე.

როცა ყველაფერი გაუცხოვდა, მან თქვა ინტერვიუში,

რომ იღებს ყველა ზომებს ავტოკომიზმის.

ტრანსცენდენტალური იერის უვნებელსაყოფად,

რადგან დღის თაღები სამკუთხაა,

ხოლო შეშლილი მხატვარი პურს ხატავს.

ისევ ძნელია უარყოფა სხვა მნიშვნელობის,

ისევ ძნელია რძის ფხვნილის ან სოდის დროულად შოვნა.

ივნისი, 1987

კალუგა, ახლებენინო

იქნებ

(„ღარიბი სიზმრები“)

შენ წერ არეულად, მხოლოდ წერ,

შენ არ იცი რაზე მიაბზო.

გინდა სადღაც წავიდეთ, შენ არ იცი საით.

გინდა ვიოცნებოთ, შენ არ უნცი რის შესახებ.

გინდა უყვარდე – ვის? შენ არ უნცი

შენ ნატრობ მშვიდად ყოფნას თავგადასავლებში.

შენ მოგნონს სიტყვა სულთანი, მერე ამბობ –

„აბსურდული სულთანი“.

ის, ვინც საერთოდ არ ჰგავს სიტყვას.

თითქოს გული მიგდის, წერილები არ ჩანს.

მაგრამ რა შეუძლიათ წერილებს, შენ ხომ იქ არ ხარ.

შენ იმეორებ „აბსურდული სულთანი“.

იქნებ ოცნებაა ქალებზე? ან იქნებ შიში,

ან სიცილი; რაზე შენ ისევ არ უნცი.

აქ შენ ყველაფერი გძაგს.

ცდილობ შეშლილს ჰგავდე და გეშინია.

აქ დრო არ გადის.

თუმცა ყოველ დღე ყვავილებს პარავენ ერთმანეთს.

შენ ბევრ ჩაის სვამ.

სამი დღე ველარ გააღწიე მალაზიაში.
 წიგნებს ველარ კითხულობ.
 აქ არ საუბრობენ, მხოლოდ ლაპარაკობენ.
 შენ აქედან წასვლა გინდა,
 პატარა მოხუცებს ვერდისფერი იერი აქვთ.
 ისინიც არ ჰგვანან ღმერთებს, არც თოჯინებს.
 შენ არაფერს კითხულობ,
 პასუხების არ გჯერა.
 ისევ წერ და არაფრის მოყოლა არ გსურს.
 შესაძლოა, არც შეგიძლია.
 შენ ბევრს ეწევი და ისევ გულგახეთქილი
 ფიქრობ მალაზიაზე

იქ წასვლა თითქოს აკრძალეს.
 სისულელეა!
 მაგრამ შენ მაინც გეშინია,
 სიზმრებს ვერ იმახსოვრებ.
 დილით იმალები,
 სადღაც მოუსმინე „Rainbow-ს“
 გაგახსენდა ზაპუა, სხვა ქვეყნები, ლამეები
 და ხიდები ლენინგრადში.

შენ ისევ დაიწყე წერა,
 რის შესახებ?
 უკვე არავინ უწყის.
 საიდან დაიწყო ყოველივე, სად დასრულდება.
 ნუთუ აქ დარჩება.
 და იქნებ დაივიწყო კიდევ, როგორც ის სიზმრები.
 ალბათ არა,

შენ ალბათ განწირული გქვია,
 თუმცა ძალიან გეშინია ამ სიტყვის.
 საიდან საით? იქნებ არა?
 ან რისთვის? იქნებ არც ეს?
 შენ მალაზიაში წასვლა გინდა,
 შენ უდა წახვიდე!

1987
 კალუგა, სოსენსკი

ჩვენ გვიყვარს პავილიონები

აქ ვბაძავთ სტივენსონს, კაპიტან ბიფჰარტს
ან პშიბიშევესკის.
გახსოვს, როცა გავცდით პორტალთა ქალურ სინათლეს.
გადასაყრელი ძველი ჟურნალებით სავსე ყუთს.
მე არ ვუნყოფი, რომ შემრცხვებოდა ვილაც კაპიტნის,
იმავედროულად სათვალეებით დახატულ
სანაპიროზე ჩაფიქრებულს.
ეს პავილიონები ყველაფერს თავიდან იწყებს.
თითქოს აისბერგი გადაგვაქვს დირჟაბლით
(რომლის მაკეტიც კალუგაში ვნახე თექვსმეტში).
გრაფონთა ღამეა, ვილაც მემუქრება
საქსოფონებით დავარცხნილი თმით.

1987
კალუგა

ღვთის კლოუნი

თითქოს პროტესტანტული ეკლესიის თეთრ
 კედლებში მოქცეულს
 დამესიზმრა ოქროსფერ რომში მოხეტიალე სანდრა –
 შავებით მოსილი მისტიკური კლოუნი ღვთისა.
 ღვთის კლოუნს შავები აცვია.
 მას სხვაგვარად სიმარტოვე ან წვიმა ჰქვია.
 პასტელით დახატულ ქალაქში ხიდზე დგას
 და მძინარე ნავეებს უყურებს.
 ამ დროს მას არ უყვარს ღიმილი
 დუმს და არსადაა,
 ამით შიშს გვაგინწყებს
 და ჰგავს ზღვაში დაკარგულ სახეს.

1987
 კალუგა, სოსენსკი.

პიფივ ოზი

I

ტექსტი – არაფერი
მონყვეტილნი ბალახის რეპროდუქციების ხელოვნე-
ბას

თეოფილ გოტიეს იდუმალ სიბნელეში
ტიციანის ქალიშვილზე მოთხრობას ვკითხულობთ
ასეთი საინტერესო ანგედოტების კრებულია
კასპარი რომ გვერდზე დებს
თულებს მეფის თასი და სიმბოლური თევზი
ფრონტალური ნატურმორტია,
რადგან წინ გვიდევს ვარაუდი
არაფრის შესახებ:

ტექსტი არაფერი.

რადგან ყოველგვარი ყოფა მოსანყენად ერგენა
ის გვირაბში მოხვდა მაღალ თაღებქვეშ
გნომის სიფრთხილის შესაძენად

და მერე მეტროსთან რომ დაჯდეს
 სველ ბორდიურზე დაფენილი გაზეთით
 ან „საიგონის“ ქალს ფული მოპაროს
 და ღამით ისევ ხატოს რაღაც კონცეპტუალური
 რადგან ყოველგვარი ყოფა აუხსნელად ეჩვენა
 და ჰოროსკოპის ნაცვლად მატარებელთა განრიგებში
 დაიწყო გამოგონილის ძებნა.
 თუმცა ის მარტოა და სასაცილოდ ფიქრობს –
 ათეისტია და კაბალისტი –
 წვიმები უყვარს
 და სამზარეულოში სიგარეტს ეწევა
 თითქოს ველარაფერს აგრძელებს:
 ტექსტი – არაფლერი
 მხოლოდ იხატება
 ის საკრალური ორნამენტია
 და პაროდია
 მით უფრო
 როცა ფრინველის ფიტულის ქვეშ ხატავს
 და ფრინველის ჩრდილი სიბრტყეზე
 მუდამ აქეზებს ფიგურატიულისკენ.

II

მძიმე ხასიათი აქვს
 თვრამეტი წლისაა
 ცუდად როდი იცმევს
 უყვარს შვეიცარიის და ჩინეთის საზღვრები
 ხელახლა გამოგონილი სიღარიბე
 რომელიმე ახალი სპრინგსტინის
 კითხულობს ინგლისურ დეტექტივს
 ესიზმრება სიზმრები მოდების ჟურნალებიდან
 ზოგჯერ მწვანე ვაშლს სჭამს
 და მერე ისევ იძინებს.

1987
 სოსენსკი

ორი

I

ვინცებ ჩამოთვლას
 ჩამოთვლა გრძელდება
 ვერაფერს ვიხსენებ
 არაფრის ჩამოთვლა მაინც არ იოლდება,
 არ მსურს ვილაცის ხატი
 ჩემი არ არის
 რადგან ღამით მძინავს
 და დღისით ვლაპარაკობ
 და ძილშიც საათს ვუყურებ –
 მინდა გამოვიგონო ახალი სიტყვები
 თან არ მინდა –
 ვილაცამ მითხრა
 რომ ალერგია აქვს ამბროზიაზე.

II

კონკრეტული ასახვა
 ოთახის
 საბეჭდ მანქანაში ჩარჩენილი ლექსების,
 ცვალებადობა განათების,
 მონოლოგი კარადასთან
 ალეგორიული
 ბაროკოს სიყვარულის შესახებ
 თუ ამპირიც
 ეს უკვე აღენ რენეა
 სანაპიროზე გამორიყული სარკის ნახვა
 გვიანი რობ-გრიიე
 რომელიც ჰოტორნს ჰგავს
 ჰემინგუეის ოთხი ცოლი ჰყავდა
 დანერა „კატა ნვიმაში“
 და თავი მოიკლა.
 მატარებელი
 აი რა ახსოვთ.

1987

სოსენსკი

როგორც წვიმა, როგორც ადვილები

იქ – ყვირილი – როგორც კომპიდან
 მოხუცი ფრენა – თმები – მუხლები
 პერანგის ნაწილი – შესახებად
 თეთრი –
 ზურგშექცევით –
 მერეც
 და როგორც ფრენა
 როგორც განმეორება
 როგორც ისლამი.
 შენ შეიძლება მკითხო – უმიზნოდ!
 საწოლიდან წამოვდექი
 როგორც საწოლიდან წამოვდექი
 რძე – მინების ნისლი და ძილი
 ჩვენ რომ ძველი წითელი მანქანა გვყავდეს –
 ის ყვირის,
 რადგან ხედავს მანქანის ჩინურ თვალებს.
 თოვლში, თბილ თოვლში
 ღამის შვილი –
 მთვარეული ყაჩაღი
 ილიმება

შენს მუცელზე ვარდისფერ ბაფთას კრავს –
 დაიმალა.
 ოთახში ჯაგრისს ვეძებ
 და ტელევიზორს ვპოულობ
 იქაც მულტიპლიკაციური საიგონი.
 მას
 როგორც უნინ
 ღამით
 შავ-თეთრ ფილმში
 (კინოთეატრში რატომღაც სტატუია იდგა)
 ჰალსტუხს ისნორებს.
 კინოღამე.
 რაღაც ისევ ცვივა
 შენელებული –
 კოსმოსური კარადიდან –
 გული მისდის –
 მასაც –
 როგორც უნინ
 ღამით და მერეც.
 მე ვიტყვი თუმცა დრო გავიდა
 და სადღაც კოცონთან სხედან
 ჩვენ დავბერდით
 მაგრამ მაინც გვცნობენ
 და ისევ გვსურს ტირილი
 და აღარ ძალგვიძს.
 გავბრუნდები –
 კარებში ორნი ვერ ვეტივით
 ისევ ძველი წერილი. “ხანძარი ტყეში”
 მე ვწევარ ქარში.
 ჩემი სანოლი თანდათან თბება
 მე ვწევარ ძველ სახლში
 და ისევ გეკითხები
 შორიდან.

1987

ძმბ ბრმიაში („ღარიბი სიზმრები“)

თენდებოდა,
 ის ნაჩქარევად ჭამდა:
 პურს, ყველს, შოკოლადსა და ფორთოხალს.
 მერე შინელის ჩაცმა დაიწყო.
 კიდევ ერთი სიგარეტი მოსწია, ადგა,
 გამოსვლისას პირჯვარი გადაიწერა.
 ძმაც გამოვიდა, კარები ჩაკეტა.
 ყინავდა.
 ისინი ერთად გამოვიდნენ
 პატარა ხის სასტუმროდან
 და ვაგზლისკენ წავიდნენ.
 ჩუმად მიდიოდნენ –
 არ ლაპარაკობდნენ.
 გზაში ფეხები და სახე ისევ გაეყინა.
 ვაგზლის მოსაცდელში ჩუმად იდგნენ.
 ზოგჯერ ძმა გარეთ გადიოდა,
 რომ ავტობუსის მოსვლა არ გამორჩენოდათ.
 არ ახსოვს გამომშვიდობება.
 მხოლოდ – როცა ავტობუსისკენ წავიდა,
 სატვირთო მატარებელს და რკინიგზას მოხედა.
 მაშინ იფიქრა: “უყურე რკინიგზას, უთხარი შენს თავს,
 რომ მალე წახვალ აქედან”.
 ავტობუსის გაყინული მინებიდან არაფერი ჩანდა.

1987

არხანგელსკი, მირნი

კახი ჯ. მბრძანებელი

„კაცი ჯვარცმას იყო მიყრდნობილი
და ვაშლს ჭამდა“
პ. ჰანდკეს მოთხრობიდან

კაცი ჯვარცმას მიყრდნობილი,
უმაღლესეფობთ ღვთისმგებობელს.
ის კი უბრალოდ დაილაღა თოვლში
და ჯიბეში ვაშლი აღმოაჩნდა,
რომელსაც ახლა ჭამს.
მას ზურგი ატკინა პალტომ,
ის სნეულია.
მაგრამ თუ დასცინის,
რომც არ იცინოდეს,
ან არც დასცინის.
ჩვენ კი ამ ნიშნად აღვიქვით
მისი იქ ყოფნა.
ვისი ნებით აღმოჩნდა იქ
და რას ნიშნავს ჩვენი მზერა
ჩვენს გარეშე?
მაშინ კი ვიფიქრებთ მიტევებაზე
თუ შესაძლოა ესეც
საჩვენოდ არ მიიჩნიოს უფალმა.

1987
არხანგელსკი, მირნი

* * *

ჰკითხეთ უორჰოლს, თუკი გგონიათ,
 რომ ჯერ არ მომკვდარა.
 რამდენი სანოლი უნდა დახატოს მისი მერლინისათვის,
 როცა ღამეებიც მეორდებოდა?
 და რომელ კუთხეში სძინავს იქ სანყალ ფრანცს?
 ჭექა-ქუხილი როდი ანათებს მის თხისფერ ზენარს.
 ეს ელექტროსახეა, ტელეეკრანი,
 სანოლი თუ კედელი ერთად.
 იქნებ ქრისტეს სამსჭვალი დაიკარგა?
 ქარი ჰგავს ორ მოხუცს, რომლებიც თავის მხრივ ჰგვანან
 ერთ პეპელას უფერულს, ოდნავ მოცახცახეს.

1987
 არხანგელსკი, მირნი

* * *

იერცვლილი ნისლიანი სარკმლის ქვეშ
ჩვენ ვმათხოვრობთ.
მონყალებას ველით ფაიფურის ფანტომთან
ერთ-ერთისაგან.
მზერანატკენი დაემშვიდობე ბალებს, წინ მხოლოდ
გზაა აღმოსავლეთისაკენ.
შენ დატოვე სევდიანი პოლონეთი და ფაიფურის
ფანტომებად დაშლილი სახლი.
ვის ნებას მიჰყვა აღფრთოვანება და გაოცება
შენი გონების?
თანამგზავრია მიღმეულში ჩაკეტილი
სარკმელთა მზერა.
წინ მხოლოდ გზაა.
შენ დატოვე სევდიანი პოლონეთი და ფაიფურის
ფანტომებად
დაშლილი სახლი.
კამეათა და მაქმანთა ბრმა ირმები და სავარძელში კი
მწუხარე მამა – ლეოპოლდ სტაფი.

1987

არხანგელსკი, მირნი

თეთრი სკამი

ყვითელ ქალაღღზე თეთრით სკამს ვხატავდი
 ფანტომთა გრაფიტიც ნანილს,
 მტვერსასრუტით აკრეფილ ვარსკვლავებს მინის
ზედაპირიდან,
 რომელზეც პლასტმასის თოჯინა ეკიდა,
 ხოლო საშობაო ბარათზე
 ყრმა იესოს ნაძვის ხეზე პოულობდა ღვთისმშობელი.
 მე არ ვფიქრობდი ჩამქრალ ვაგონზე,
 სადაც ჯარისკაცი ქალის ფეხებს ნატრულობს
 და უშაქრო ჩაის სვამს.

1987

არხანგელსკი, მირნი, ლაზარეთი

მეზობიდა ლეკი

რადიოში: ვილაცის მონოლოგი. მე მეძინა;
სიზმარში ვხედავდი:
მოხუცი კაცის ლაბადაში ჩაცმული ქალი
ლამით, წვიმაში, ცეკვავდა ხიდზე გაჩერებული
ტრამვაის წინ.

მე ვეძებდი მას დიდი ლამპით
და თუმცა ვხედავდი, ვერ ვპოულობდი.

1987

არხანგელსკი, მირნი, ლაზარეთი

ღირიყაბლის მკვლელი

დანით ხუთგან დაჭრილი ღირიყაბლი: იმიტომ რომ
 ორსული მეუღლის მუცელი მოაგონა.
 გაიქცა – პატარა ოთახში. ნარბენია და სუნთქვა უჭირს.
 სინათლე აანთო. გარეთ შემოდგომაა: ფოთლები.
 ხეებს შორის მოკლული ღირიყაბლია. მისი მეშვეობით
 თუთიყუშები გადაიყვანეს საიდანლაც სადღაც,
 ახლა კი წვიმს. ღირიყაბლი არავის ახსოვს. თანდათან
 დაღუბა. მის სამართავში ბავშვები ითამაშებენ.

ტელევიზორი ჩართო. ცივ საჭმელს ჭამს. ტელევიზორში
 დიდ ბებერ დათვს აჩვენებენ.
 მარტოობისას მუდამ მარტოა, თუმცა ყოველთვის არა.
 გარშემო მაინც საკმაო ბაღია.
 შემოდგომაა და წვიმს. მერე შვილს ეტყოდა: მე მოვკალი
 დიდი ღირიყაბლი, რომელსაც შენ ციდან მოჰყავდი,
 იმიტომ რომ დიდი ხნის მერე ისევ მან უნდა წაგიყვანოს.
 ასეთია ქარონი ღირიყაბლით –

მაშინაც როცა შემოდგომაა, თან წვიმს.
 იქნებ მაშინაც როცა ტელევიზორში
 უკვე ისევ პარკს აჩვენებენ:
 გარშემო და ოთახშიც, ყველგან – სველი ხეებია: მათ შორის
 სადღაც დაკარგული ფოტოაპარატი.

ღამით სიზმარს ხედავს: ტყეში ორი პრუსიელი
 ოფიცრის დუელს შეესწრო:
 რომელიღაც კვდება წვიმის ხმაურში.

1987
 მირნი, ყაზარმა

ვინ მოდიოდა შენთან?

მატარებელი –

ისევ ქარხნის საერთო საცხოვრებელში
მერე ჩვენთან.

სიცხე ჰქონდა. ქარხანაში სამი დღე მისცეს.

იცინოდა. ავადმყოფი მთვრალს ჰგავდა

და ისევე იცინოდა, როგორც ნასვამი,

სიცილით ყვებოდა, რომ მატარებელში

ვიღაცეები მოელანდა.

დედამ შეშფოთებით და იმედით ჰკითხა:

„ვინ მოდიოდა შენთან?“

ალარ ახსოვს. ყველანი მაგიდასთან ისხდნენ.

მატარებელში.

„შვილო, ვინ ნახე, ვინ მოდიოდა შენთან?“

1987

მატარებელი პატარა სადგურში 1956

ბავშვებს ნაცრისფერ თოვლქვეშ, პატარა სახლში სძინავთ.
 მატარებლები ჩინეთისკენ მიდიან – იქ ისევ თოვს.
 სადგურში რატომღაც აქლემი დაუბამთ
 სუსხიანი ქარი უხეშ ბენჯს უშლის.
 ერთი მატარებელი ისევ აქ დგას. არ იძვრის.
 პატარა ქალი სიზმარში ასოს ხედავს
 სარკმელთან მთვლემარე.
 მთელი დღე ნათურა ბჟუტავს პატარა სადგურში.
 ნისლი მატულობს. სადგურის სასააღილოში მთვრალეები
 ყვირიან,
 მათი მძიმე და პირქუში ჩრდილები კედლებს აფრთხოვენ.
 ღამით მატარებელი წავა.

1987

თეთრი ფალოდობა

გრძელ და სევდიან ხუმრობებს, ძველ სამოსში,
იერი შეუცვლიათ წმინდად.
ჩუმი სიხარული იდუმალ სერობებს ამსგავსებდა
იმ საღამოებს.
ნამსხვრევები ფაიფურის გვირგვინთა,
როგორც ქალური სარკეები,
ირეკლავდნენ წვიმებს, რომლებიც ბავშვებს ჰგავდნენ:
მათ მუხლებს ოქროსფერ საბნებში ეძინათ –
ლიმილს სარკმლებში შემოფრენილი ვეფხვები
აფრთხოვდნენ ან ინახავდნენ.
ვერცხლისფერი პური, მთვარეზე დაჭრილი,
მძიმე იყო და
ვლექავდით დიდხანს.
ჩვენს მკლავებს ახსოვთ, მათაც ახსოვთ
სინაზე კურდღლის,
რომელიც ჰგავდა ლამპას ჯადოსნურს,
თეთრ შემოდგომას
იმ სახლში, საიდანაც არ გამოვსულვართ
იმ სახლში, რომელიც გვიყვარს.
ჩვენი გულები ცისქვეშ მოზაიკას ჰქმნიდნენ
ზემოთ მყოფთათვის. ზემოთ კი არავინ იყო.
ლაზარეს ცხედარს შევყურებდით ცივი სარკმლიდან
უკიდებანო ოკეანეთა.

4 დეკემბერი, 1985

შობის წინ, ღამით (ადვენტი)

შენც სწუხხარ ღამევე ამ პატარა ოთახის –
 ქარი ხმაურობს, თოვლის ნამქერი მას სადღაც მიაქვს;
 სევდიანია სინათლე ლამპის –
 ჩვენ მარტონი ვართ.

ვემშვიდობები თუ ისევ ვხვდები საყვარელ სახეებს –
 მე მათ უცხო, თან ნაცნობ მხარეში ვხედავ
 და მესმის მათი წყნარი ღიმილი
 შეშფოთება ან ზრუნვა –
 ყველა ხატი, მათი წარმოსახული
 ჭკმნის ვრცელ სამყაროს, მრავალგზის
 მიტოვებულს ჩვენგან.

შენც შორს, მაგრამ მაინც ჩემთან ახლოს ხარ
 ზოგჯერ მესმის კიდეც ჩემს გვერდით შენი სიჩუმე
 აღელვებულს გვერდზე, შენსკენ მოხედვისაც მეშინია –
 ჩვენ მარტონი ვართ

სევდიანია სინათლე ლამპის.
 ყველა დროს მიღმა წინაპარი შემოდის ჩემთან
 ჩემს მეგობართა და კიდევე მრავალთა იერს
 ატარებს იგი
 სწეული მამა, შეგუებული.
 თოვლს მოაქვს მისი წყნარი სინათლე
 ქარი მას ჰფანტავს ჩემს მწუხარე ღამეში
 ამ პატარა ოთახის,
 საიდანაც ყველანი ერთად მიველტვით
 სხვა საცხოვრებელს:
 ბალახს, ყვავილებს და ხეებს ვგავართ.

1 დეკემბერი, 1985

ბՆՐԲՆ

ეს იყო პატარა, ვოლგისპირელი ქალი
ძილში გაუპატიურებული,
ტრამვაის სარკმელთან მოღიმარი,
სადღაც მიკროსკოპისკენ თავდახრილი...
როცა სვამდა,
ან როცა სიგარეტს ეწეოდა ფანჯრის
რაფაზე ჩამომჯდარი
ან ჩეხოვსა და გარშინზე საუბრობდა
ან სევდიანი ხიდიდან მდინარეს დაჰყურებდა –
მე ის მიყვარდა.

30 ნოემბერი, 85

სიზმრი

წვიმს. ფიჭვები სიზმრებს ჰგვანან;
 მათში სადღაც ნაგულისხმევია
 ჩვენი დავინწყებული შეხვედრები
 მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით.
 ესაა ხილული ხატი ჩვენი ოცნების
 რომლისკენაც ჩვენ დავკარგეთ გზა
 ღამეებში ჩვენს თვალებში ისმის ურთიერთხმობა:
 ჩვენ არ ვიცით კიდევ სად და როდის შევხვდებით
 მშვიდად წვიმს. უყურე ამ ნათელ დავინწყებას,
 დაბნეული ცხოვრების სევდა თვითგამართლება
 ვიღაცას ჩაესმის ის
 მიტოვებულ საძინებელში.

15 ივლისი, 1985

შინგვიდობა (1985 წლის 29 აპრილს)

მე ვიყავი დიდთვალა ლოთი ჯუჯა.
ბოთლი დაფრინავდა. მე ვდუმდი.
მერე გარეთ აღმოვჩნდი.
მე და ის, ისევ ისეთი, როგორც სიყმანვილეში
ერთად ვიდექით ღამის დიდ ბაღში.
მე მეშინოდა დარჩენის – სახლი სადღაც სხვაგან იყო.
უცებ ტროლეიბუსი გამოჩნდა შუალამის;
„გავიქცეთ“ – ვიყვირე და მისკენ გავიქეცი.
ავედი; კარები ჩაიკეტა; უკან მოვიხედე:
არავინ!
ღმერთო, ის ვგონებ ჩემზე ნაწყენი დარჩა
იმ ბაღში –
ის ხომ არც ისეთი ბავშვია
და ეს მეც ვიცი.
ტროლეიბუსი კი მიჰქრის შავ ბაღში.

1985

წითელი თმბუზი

მე დავიღალე. შენი წითელი თმები ეხება ჩემს შავ პალტოს.
მე დავიღალე.

მე შემიძლია სარკე მწვანე საღებავით მოვთხვარო
ან დაგიცადო ხიდის იქეთა მხარეს
ძველი წიგნი მოფრინავს და კეფაში მხვდება,
როცა მოაჯირს ვებლაუჭები
და მდინარე ჩემს ქვემოთ ქვაფენილია თითქოს –
ავზნიანი სიკვდილის სანოლი;
ავადმყოფები ბაძავენ ანგელოზებს და სადღაც
სარკმლისაკენ იშვებენ ხელებს
ნამდვილი ანგელოზები კი მათ ამ სარკმლიდან
უთვალთვალენ

ხელებში ნავთის ლამპებით.

ჩიტები კვდებიან ცის ფსკერზე. მე დავიღალე.

შენ თოჯინას ჰგავხარ.

მე სარკეს ხელუხლებლად ვტოვებ – ის მაინც გვატყუებს –
შენ მასში არ ჰგავხარ ცხენს და ყვავილს, თმა წითელი გაქვს.
დირიჟაბლები, ჩიტები და დირიჟაბლები

ლამის ლამპიონთა ზევით:

ჩვენი სანოლები ვერცხისფრად ელავს

შენს შიშველ მუცელს, მკერდს და ფეხებს რომელიღაც

ოთახში სძინავს.

დირიჟაბლები ჩიტები და დირიჟაბლები

ლამის ლამპიონთა ზევით;

რატომ იცხოვრა? რისთვის დაბერდა?

და საიდან დაგვემშვიდობა?

ის ბებერ ძალღს ჰგავს, საფლავის ჯვართან ჩაძინებულს,
როგორც მე, შენს მკერდზე, წითელ თმებში თავჩარგულს.

მაისი, 1985

[ჩუმი ღამე] სანოლები თვალს ახელენ სიზმრებში
და თანმიმდევრობა წყდება [რას ნატრულობს ამ ღამით]
არა იქ, სადაც ნაძვებია, ჩიტები და კლდე.
შენ უარყოფ, უარყოფ [ის მუხლებზე ჰკოცნის ქალს]
მძვინვარებაში ჩაძირულ უკმაყოფილებას
და მოგონებებს

მატარებლებში, მატარებლებთან
და მატარებლების მიღმა
[სპილოსძვლის სამაჯურიან ხელზე]
სადაც ხეები ხმება და დაღლილია ყველა ჩვენი მეგზური
[ოდნავ ზემოთ]
ღამეში იმსხვრევა უამრავი მინის ჩრდილი
[ის სცემს ქალს და ისევ ტირის]
რომელთა მიღმაც, ცეცხლთან საუბრობენ
და არ უკვირთ, რომ სახლი ცოცხალია
და ცოცხალია ეს ან ის მზერაც
ჩამქვრალი ვარსკვლავების, გამონაგონის
და ყველა სიშიშვლის
და შეუძლებელია ამ „ყვავისფერ“ ყვავილებში გარკვევა:
მძინარის ჩამოვარდნილი ხელით რადიოში
მოსმენილ სიზმარს იჭერს

[მოციქულნი ჩუმად ჩაუვლიან მტირალ წყვილს]
რომელიც ვერცხლისფერია –
როცა მიტოვებულ პარკში წვიმს, წვიმს მკვდარ პარკში.
ისევ ოთახი. ისევ ოთახში მოარული
ღამურა წვიმაში; ქალის წინდები და ჩემოდანი
კაქტუსი და წიგნები, სკამები და ღიმილი –
ჰგვანან მის სატრფოს –
ყველანი ჰგვანან მის სატრფოს,
ეს კაცი [ჩუმად ტირის] სახლში [რას ნატრულობს ამ ღამით]
ან მატარებელში [ის მუხლებზე ჰკოცნის ქალს]
და ისევ სახლში [ის სცემს ქალს და ისევ ტირის]
რადიოში უსმენს სიზმრებს.

17 მაისი, 1985

ღამე ბამჭვირვალე ქალში

ქალები მაღალი სუფთა ხეები იყვნენ
ჩვენი ძილის იდუმალი ოთახები, ენსორის ნიღბები
და კიდევ რაღაც –
ყოველივე ჩაივლის ამ საიდუმლო ფერხულში
და მუდამ რაღაც დაგავინყდება მასში
შენ გქონდა ნავთის ლამპის შუქზე დახატული ხომალდი
მას უფროსი ძმები უკეთესად ხატავდნენ.
თქვენ იმთავითვე შეთანხმდით, რომ ფიჭვები
ისევე სტირიან როგორც ვარსკვლავები ცაში;
ანგელოზები ჩუმი ინვოდნენ
ღამე ქრებოდა მათ ალში
იერშეცვლილი ნიჟარებიდან ჯუჯები იშვნენ
და ისინი იქცნენ მემალაროელის

ბრმა ქალიშვილის სიზმრად.

სარკმელში მაღალი სუფთა ხეები ჩანდნენ
ახლა ისინი ვარსკვლავეთის ფერიები იყვნენ,
ამგვარად იერშეცვლილნი
და ყოველივე დაიბნა შენში:
გადაყრილი სათამაშოები
ხეთა სილუეტებში ფოთლებით ჩახატული მეფენი
რადგან ბრმამ დახატა ხიდი,
რომელზეც ის თვითონ შიშველი დგას.

მარტი, 1985

ანტითეატრი ქმნის ახალ ესთეტიკას (ღირებულეობას)

აქ მძიმე კაცები მუშტებშემართულნი დაფრინავენ
 ლურჯი ნაგავის თავზე
 მძიმეა და მოუქნელი ეს სიტყვა – მათი პოეზია –
 გამონაბოლქვი და მათი ქუდები,
 მატარებელში უამრავი რამ არსებობს,
 გემით სევდიანი ჟირაფები გადაყავთ
 ვილაც ქვას ესვრის ამ მფრინავ კაცებს. მძიმედ ხვდება
 ეს ძირს დაშვებული ქვა
 ვარსკვლავივით ბრჭყვიალებს ვილაცის სანოლზე,
 სადაც არ ძინავთ ბავშვებს, ქალებს და ქალაქცეულ
 ბავშვებს;
 ხოლო საკვამურებზე თოვლი დნება,
 როცა კაცები დაფრინავენ ლურჯი ნაგავის თავზე
 და შენობებზე ზემოთ.
 ყველაფერ ამის შესახებ თქვენ მოისმენთ რადიოპრესაში,
 თუკი სარკმლიდან ნაძვებს ხედავთ,
 ყველაფერ ამის შესახებ თქვენ ნაიკითხავთ ყრუ
 კედელთა ნარწერებზე (გრაფიტიზე)
 ბავშვის ქუდი, მოხუცის ხელჯოხი და ქალის წინდა
 თქვენ გაამბობთ მძიმე, მუშტებშემართული
 კაცების ქროლვის შესახებ.

1985

* * *

ეს იყო ცუდი დეტექტივი, სადაც უკვე დაავიწყდათ
დამნაშავე და მისი დანაშაულიც –
სახლს ჰქონდა მფრინავი სარკმლები,
ისინი ჩუმად მღეროდნენ სხვაში
მათი გამჭვირვალეების ნიმბში მამა იდგა,
ვერცხლისფერ ღამეში, მატარებლების სადგურზე,
სადაც ჩუმად შრიალებდა ქარი.
სხვებისაგან განსხვავებული
სამოსის ძველი საკიდი,
ნახევრადჩამქვრალ ლამპიონებს შორის,
ის ფიქრობდა სასადილოს ცივ საჭმელზე
და მდუმარე მატარებლების ბაღზე
უსიხარულო მზერის წინ.
ეს იყო ცუდი დეტექტივი,
რომლის ფატალურ დასასრულს
ისინი თვითონვე ჰქმნიდნენ.
შენ კი შეგეძლო გეთქვა:
„მამავ, შენი საჩუქრები დაიკარგა ჩემში“.

მარტი, 1985

ეპიტაფია იანვრის თვისთვის

მამავ, იქნებ გინახავს ალადინის ლამპარიც
თეთრ ქარხანასთან, პატარა რკინიგზის წინ,
სადაც წინა დღეს ზღარბი მოჰკლეს
სად არის ჩვენი პატარა სანოლები?
ნეტა ისევ ღარიბ თოჯინებს ვგავდეთ
და თავიდან გვარქმევდე სახელებს.

31 იანვარი, 1984

ფილოზოფიის საღამო

საღამო ფანჯრის მიღმა
მამის საწოლია. მერი ლურჯ ფინჯანს ეძებს
საღამოს ნაცრისფერში.

მამა მოხუცდა. ცუდად ლეჭავს –
თეთრი ფინჯნებით ყავას სვამენ
და გარეთ, ნანვიმარ ქუჩაზე
მანქანები სვლას ანალებენ
მათ სახლთან, შუქნიშნის წინ.

მამა მოხუცდა. იისფერ ოთახში ანგელოზებით
განყობილ შპალიერზე

თვლემს მისი ბოლო სურათი:

„ავტოპორტრეტი. დღის ორი საათი“

ასე უმწეოდ დაუშვა ხელები საათსა და საწოლს შორის
გამომწყვდეულმა.

ბუხარი ჩვილი ყრმავა,

მასში თბილად ფეთქავს ცეცხლაქცეული გული,
რომლითაც ის ათბობს შენს დაღლილ ხელებს.

ღამდება.

მერის სათვალე არ უხდება;

ღიმილით იშორებს.

3 ნომბერი, 1984

მგზავრობა ღამისაკენ

ქალს ერქვა ძალიან ღამაში სახელი:
ან ალისა, ან სოლვეიგი
და ერთდროულად ჰგავდა ბუხრით
გამთბარი სარკმლის მიღმა თოვლცვენას
და მამისეულ ძველ, შავ პალტოს,
მზიანი ქარი რომ არხევდა ეზოში, სახლის წინ.
ჩვენ მივდიოდით დასავლეთით, ძველი სოფლებისაკენ,
მინერალური წყლის შესაძენად;
ჩვენ მივდიოდით ძალიან ძველი, თეთრი მანქანით იქეთ,
სადაც მზე ეშვებოდა
ყანებისა და მუქი ტყეების მიღმა.
გზაზე ცხენები ქალებს ჰგავდნენ; პურის ქარხანასთან
ბავშვები ჩხუბობდნენ,
ჩვენი მანქანა ან ბავშვის სამოსი იყო, ან უშნო ქალის
აღერსი, ან ჰოლდერლინის ფლეიტა,
ხოლო რკინის ხიდზე, გრძნობადაკარგული
ლოთის ხმაური,
რადგან ჩვენს თავს ზემოთ არ ფრენდნენ ფრინველნი
და ჩამავალი მზის წითელი შუქი ჩვენ
მათ ფრთებზე როდი ვიხილეთ...
მოხუცმა არ იცოდა, სად იყიდებოდა ვერცხლისფერი
წყალი თირკმლებისათვის;
მეორე მოხუცმა მოგვატყუა, – ასეთი გახლდათ
მარადიული სოფელი დასავლეთში,
სოფელი, რომელიც უზარმაზარი კალიის დარად,
გამოგვეკიდა შელამებისას,
ლამპიონების მოციმციმე საცეცხებით გზის გასწვრივ.
ჩვენ დავტოვეთ იგი, რადგან იაკობის სიზმარში
ყველაფერი შეიცვალა
და ცისკენ აზიდულ კიბეზე ბლეიკის ანგელოზთა
ნაცვლად
ეს პირქუში მოხუცები, ზეალმავალნი, მუშტებს უღერებენ
უხილავს, თავს ზემოთ
და ვერ ხედავენ მის ღიმილს.

20 სექტემბერი, 1984
აბაშა

* * *

ყველანი აქ ხართ
და ერთბაშად შემადრწუნებლად დაძრულ ნაკადში
წყლის დათვებსა და სელაპებს შორის
უკვე განწირულნი ვხედავთ თეთრ ვეშაპს.
ლახვარცემული და მოლიმარი
ეს ერთი მეგობართაგანია ჩვენი
ჩვენს საფლავებზე რომ მოაბიჯებს...
მე გხედავთ თქვენ ყველას,
ვინც დაგტოვეთ
და თქვენზე ვფიქრობ მშობელთა ენაზე.
სიკვდილთან შეხვედრა –
ეს სარკეში ყურებაა, როცა უკვე ყველაფერს ხედავ;
ის ლურჯი სიკვდილით მოკვდა და ვერავინ იტყვის –
აჩრდილი იყო თუ ლამაზი სათამაშო.

1983

* * *

1. ვარსკვლავთმრიცხველის ხეიბარი ცოლი ქვიშის საათში ცხოვრობს. სამზარეულოში, გაზქურასთან მდგომს ხშირად უფიქრია: დიდი, წითელი სახლი მაღალ კიბეს ეყრდნობა, როგორც მეუღლის დახატულ სურათშია. მერღინი სამკუთხა ქუდით ლოკოკინაზე მჯდომი – აი ჭეშმარიტი მეუღლე მისთვის. ჩინურ ხიდზე მდგომმა წყალში იხილა მისი ანარეკლი.

2. ტრამვაი გაჩერდა და დიდი რეკლამის შუქისაგან ერთბაშად გალურჯდა. მან ჯერ გრიფონის დარად ცხვირმოკაუჭებულნი, უშნოდ მოღიმარი კაცი დაინახა, მერე კი ერთბაშად შეკრთა და უკან გაინია – ლურჯი გრიფონი ტრამვაის ფანჯარას გაშლილ ხელისგულებს ურტყამდა ზედ მის სახესთან, რასაკვირველია, ორივეს შეეშინდა, თუმცა ეს ამდენადვე სასაცილოც იყო; ტრამვაი ნელა დაიძრა ადგილიდან ლურჯი გრიფონი კი ისევ ტრამვაის გასწვრივ მორბოდა და არაჩვეულებრივი ხმაურით ურტყამდა სარკმლებს. „სხვაგან გადაჯექით!“ – უკმაყოფილოდ, თითქმის წამოიყვირა მის ზურგს უკან მჯდომმა მგზავრმა. ეს ხანდაზმული, სათვალეებიანი ქალბატონი იყო. „ჩემს ქალიშვილს ფეხები სტკივა. ის ვერსად ვერ გადაჯდება!“ – ხმა აიმაღლა რატომღაც ფეხზე მდგომმა პატარა მოხუცმაც. მამის პასუხზე მას გაელიმა, თუმცა უკვე თითქმის ტიროდა. „მამინ იმას დაემუქრეთ“ – თქვა ისევ გაავებულმა ქალმა და ფანჯრისაკენ მიუთითა: იქ აღარავინ იყო.

3. ...გამახსენდა როგორ მეტკინა როცა დიდი ჭუჭყიანი ორთქმავალი შემოვიდა სიზმარში. „აჰ, ანგელოზები თევის ფრთებით!“ დაიყვირა ვილაცამ.

1983

სუფი დირიჟაბლი

მეოცნებენო, ყველა ასაკის, ან უპოვარნო
და მძლეველნო სხვა
ბოროტების
ჯერ ქალთა გუნდს მიაპყარით ქალაქში თქვენი მზერა –
თუმცა ტალახი მათ ფეხებზე
სასონარკვეთის ან ავი ზნის,
ბუნებრივია, თქვენ ყველას როდი ჩამოგიცლიათ.
ასე ტანშელახულნი თქვენი გინებით ან გამოფხიზლების
შემდგომ
მრუმე სახვევებით ტანშეხვეულნი –
თქვენს გვერდით წეროებს ფრთამომტვრეულთ
ან ფერად ჩიტებს
ოდეს ემსგავსნენ –
თქვენ მარტო არ იყავით და გადაგქონდათ ათასგვარად
ნაკერი დირიჟაბლით,
თქვენი ყოველი ზრახვა, თქვენი ოცნება –
ქალთა გულებს ქვეშ
ამაოებას შერკინებულ მომავალ რაინდთა ძილი
ო, უეცარი გამოღვიძება
ან უხეში ზრახვა –
ქალად ქცეული ბავშვების გუნდი.

1982

* * *

ო, დედა, შენ ისე გიყვარს შვილები,
ზურგს უკან მფრენი ბრმა ფრინველები,
მათი პატარა სხეულებით იხსნება ცა,
შენსკენ გამოწვდილი ნაზი ხელებით.
ასე ყვავილისფერია ჩვენი სანეტარო ბინა,
სადაც დავიბადეთ და სადაც ვკვდებით.
ო, ასე წყნარია ვარსკვლავიანი ღამე
და ცრემლიანი ღიმილით სავსე ჩვენი თვალები.

18 აპრილი, 1982

საბრძენი

კარლო კაჭარავა. ბიოგრაფია.....3

კარლო კაჭარავა: კულტურული პოზიცია
და კონტექსტი (ბელა ნიფურია)5

* * * ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია 20

ღამის ელეგია 21

შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან..... 22

ნერილი ემიგრანტს 24

აღდგომა დასავლეთ საქართველოში 25

ზაფხულის ქარიანი ღამეები 26

* * * ახლადშექმნილი ანდროგინი 28

* * * ჩვენში 29

* * * ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი 30

* * * ხატავს რკინიგზის ნახშირით 31

არარესტავრირებადი ღამე 32

შენ შეგიძლია მოგ ზაურობა 34

* * * თქვენ თამაშობდით 35

* * * მე ვცხოვრობ ამ ქალაქში..... 36

* * * მე ვერასოდეს ვაკადრებ ქალს 37

* * * მე ვიჯექი უცნაურ რესტორანში 38

პლისეცკი..... 39

* * * ჩვენ ვწუხვართ ამ სისადავით 41

ღამის წინ 42

* * * ჯენი ჰოლზერის სურათებით 43

ერნსტ ბარლახის ხსოვნას..... 44

ქარხანა ჩვენს მიღმა 45

* * * ჩვენ ვერ მოვასწართ გამომშვიდობება..... 46

* * * ისინი ჰგვანან სცენის აბსურდულად
თაყვანისმცემლებს 47

სიყვარული კომენდანტის საათის დროს 48

ანდერგრაუნდი 49

მიცვალებულთა ხსოვნის დღე პალანგაში 50

ნერილი უცხო აღმოსავლეთიდან..... 52

* * * ისინი ჰგვანან სცენის აბსურდულად
თაყვანისმცემლებს 53

* * * როცა მეუბნებოდნენ 54

*** შენ და მამაშენი ბარგაკიდებული მიდიოდით ქუჩაზე	57
*** დაცემისას საკუთარი სხეულისაგან გავუცხოვდი	58
*** საით მიგვიყვანს ეს გზა?	59
*** 1985 წლის ერთ დილას	60
სტუდია	61
ნოემბერი ბალტიის ზღვასთან	63
*** რკინიგზის ანგელოზთა სიზმარში.....	64
*** მეჩვენება, რომ მთვარე შენც დაგცინის.....	65
ფსალმუნნი.....	66
*** შიფრების ხელოვნება ლარიბია.....	68
მატარებელი	69
*** ვერაფრით გავიხსენე დასასრული	70
გინზბერგი საბბატანიელი.....	71
ის უჩივის მამას.....	72
*** მე ბევრი ადამიანი ვნახე ირგვლივ	73
სამჯერ სამოცდაათიანი წლების შესახებ.....	74
ანდროგინის დღე.....	75
მემკვიდრეობა.....	76
ახალი ხალხური ხელოვნება.....	77
გასეირნება	79
აბრამა	80
*** თეთრ კინოფირში ჩაძირული სანოლები	81
ლექსი ძველ ბინაზე.....	82
*** როცა შენ გინდა დახატო შენი თავი	83
*** მთვარეთაგან გამოჭრილი ჯვრებით.....	84
*** ღმერთებო, თქვენ საუბრობდით სასაცილოდ.....	85
*** უხმეთ ყველას.....	86
*** მე დავიხარე როგორც ქვისმთლელი.....	88
ხანგრძლივი ეფემერა.....	89
მიმოხილვა	91
*** კარები, რომელიც მხოლოდ ხმაურით იკეტება	93
ნორვეგიული იგავი	94
მგზავრობის ანგელოზი	95
ერთი თვით ადრე.....	97
ახლებენინო.....	98
იქნებ.....	100
ჩვენ გვიყვარს პავილიონები.....	102
ღვთის კლოუნი	103
კიდევ ორი.....	104
ორი	106

როგორც წვიმა, როგორც ადვენტი.....	107
ძმა არმიაში.....	109
კაცი ჯვარცმასთან	110
* * * ჰკითხეთ უორჰოლს.....	111
* * * იერცვლილი ნისლიანი სარკმლის ქვეშ.....	112
თეთრი სკამი	113
მეშვიდე ლექსი.....	114
ღირიჟაბლის მკვლეელი	115
ვინ მოდიოდა შენთან?	116
მატარებელი პატარა სადგურში 1956.....	117
თეთრი შემოდგომა.....	118
შობის წინ, ღამით.....	119
აბრამა	120
სიმშვიდეში	121
შეხვედრა (1985 წლის 29 აპრილს).....	122
ნითელ თმებში.....	123
ღამის ტკივილი	124
ღამე გამჭვირვალე ქალში	126
ანტითეატრი ქმნის ახალ ესთეტიკას (ღირებულებებს).....	127
* * * ეს იყო ცუდი დეტექტივი.....	128
ეპიტაფია იანვრის თვისთვის.....	129
შემოდგომის საღამო	130
მგზავრობა ღამისაკენ	131
* * * ყველანი აქ ხართ	132
* * * ვარსკვლავთმრიცხველის ხეივანი ცოლი.....	133
ცუდი ღირიჟაბლი.....	134
* * * ო, დედა, შენ ისე გიყვარს შვილები.....	135

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი

ლაშა გადელია

ეთერ კვანჭიანი

ვლადიმერ პერანიძე

მართა ნიკლაური

ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი



**გამომცემლობა
ინტელექტი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

intelekti@caucasus.net

info@intelekti.ge

www.intelekti.ge